საერთო გაზეთი

№9 (786)
ოთხშაბათი
12 მარტი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.

ევროპა ამერიკელების ინტერესების სფეროში აღარ არის



„მიცვალებულთა მარშიღა“ გვაკლია...

ოპოზიციამ პოლიტიკური ხარაკირი გაიკეთა

მაკრონმა თქვა – ევროპა მოკვდება...

ელჩების მოვალეობა ჭკუის სწავლება არ არის!

30 წელი ველოდებოდით ევროპის ჩემპიონატზე გასვლას, სწორედ თქვენმა თაობამ მიაღწია ამ უდიდეს წარმატებას

პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძისა და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე, ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრები, მწვრთნელები, პერსონალი და ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელი პირები საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა ღირსების ორდენებითა და ღირსების მედლებით დააჯილდოვა.

მთავრობის მეთაურმა ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრებს, მწვრთნელებსა და ხელბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებს სახელმწიფო ჯილდოების მიღება მიულოცა და წარმატებები უსურვა.

„მხოლოდ და მხოლოდ მადლობის სიტყვები შეიძლება ითქვას ჩვენგან იმ წარმატებასთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ მიაღწიეთ. 30 წელი ველოდებოდით ევროპის ჩემპიონატზე გასვლას და სწორედ თქვენმა თაობამ მიაღწია ამ უდიდეს წარმატებას, რაც მხოლოდ დასაწყისია განვითარების იმ ახალი ეტაპის, რომელმაც ქართულ ხელბურთს კიდევ უფრო დიდი წარმატებები უნდა მოუტანოს.

ქართულ ხელბურთს აქვს ძალიან დიდი ტრადიციები და, რა თქმა უნდა, ამ ტრადიციებს უნდა დაეფუძნოს ჩვენი ხელბურთის შემდგომი წარმატება“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერ-მინისტრმა მიღწეული წარმატებებისთვის ხელბურთელებს, ფედერაციის პრეზიდენტ ვახტანგ მეიფარიანს, მთავარ მწვრთნელ ტიტე კალანდაძეს, ასევე ფედერაციის თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადაუხადა და სპორტის მიმართულებით მთავრობის გეგმებზე ისაუბრა.

„ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და ამოცანაა, ხელი შევუწყოთ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. სპორტის წარმატებასთან ერთად იზრდება ინტერესი სპორტის მიმართ, განსაკუთრებით ბავშვებში, რის გამოც ძალიან მოხარული ვარ, თუმცა ჯერჯერობით ჩვენი ინფრასტრუქტურა, სამწუხაროდ, ვერ პასუხობს ამ მზარდ მოთხოვნას. ჩვენ უკვე დავაანონსეთ 2-მილიარდიანი პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნება სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა, რომელიც განკუთვნილი იქნება როგორც მაღალი მიღწევების სპორტისთვის, ასევე მასობრივი სპორტისთვის. ამ პროექტის ფარგლებში ხელბურთის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„დიფ სტეიტს“ აქვს პირდაპირი მცდელობა, რომ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალოს

მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ბევრ კითხვაზე გასცა პასუხი, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია

ბოლო პერიოდში საქართველოსთან და ქვეყნის ლეგიტიმურად არჩეულ ხელისუფლებასთან მიმართებით ევროკავშირის წევრი არაერთი ქვეყანა განსაკუთრებულ აგრესიას გამოხატავს, მათ შორის კი, ყველაზე უხეში და სიცრუეზე აგებული რიტორიკით ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნები გამოირჩევიან. ისინი უხეშად ერევიან საქართველოს შიდა საქმეებში, ახალისებენ რადიკალიზმს, ღიად უჭერენ მხარს ხელოვნურ პროტესტს და პირდაპირ ცდილობენ, მაქსიმალურად წაახალისონ რადიკალური პროცესები, რომლის მთავარი მიზანი საქართველოს ხელისუფლების დამხობა, მისი აგენტურით შეცვლა და ხელისუფლებაზე სრული კონტროლის დამყარებაა.

თუმცა, მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ მკაფიოდ დავაზუსტოთ, რომ არ არსებობს არანაირი ლიეტუვის, ესტონეთისა თუ შვედეთის ხელისუფლება. არ არსებობს ამ ქვეყნების არანაირი საგარეო საქმეთა სამინისტრო, ან ცალკე მდგარი რომელიმე უწყება. ამ ქვეყნებს სრულად აქვთ წართმეული სუვერენიტეტი და ხელისუფლებები. ფორმალური თანამდებობის პირები არა მათი ქვეყნის ინტერესების, არამედ გლობალური ომის პარტიის, **Deep State**-ის კარნახით მოქმედებენ. სწორედ ამიტომ, საქართველოზე ამ ქვეყნების თავდასხმა უნდა განვიხილოთ არა როგორც რომელიმე ქვეყნის ქმედება, არამედ **Deep State**-ის პირდაპირი მცდელობა, რომ საქართველოში ხელისუფლება შეიცვალოს.

საინტერესოა ისიც, რომ დღეს ჩვენ **Deep State**-ის რებრენდინგის მომსწრენი ვართ - ამ გლობალური და სახიფათო ძალის სისტემური მოდერნიზების და ძველი, გაცვეთილი და უკვე ცნობილი მეთოდების ახალი, შეფარული მეთოდებით ჩანაცვლების.

მაგალითად, თუ აქამდე გლობალური ომის პარტია ძირითადად **USAID**-ის და **NED**-ის საშუალებით აფინანსებდა მათ კონტროლს მიღმა არსებული ეროვნული ხელისუფლებების ჩამოგდებას, ეს მისია კონკრეტული ქვეყნების მარიონეტულმა „მთავრობებმა“ აიღეს საკუთარ თავზე. ეგრეთწოდებული დონორი ორგანიზაციები კონკრეტულმა ქვეყნებმა, იგივე შვედეთმა, ნორვეგიამ, ესტონეთმა და სუვერენიტეტწართმეულმა ევროკავშირის სხვა წევრმა ქვეყნებმა ჩაანაცვლეს.

შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას შემდეგ, რაც დახურეს **USAID, NED** და **Deep State**-ის კონტროლქვეშ არსებული სხვა დონორი ორგანიზაციები, ეს ფუნქცია ასევე მათი კონტროლის ქვეშ არსებულ ეგრეთწოდებულ მთავრობებს გადაულოცეს. სწორედ ამიტომ, **Deep State**-ის რებრენდინგისა და მოდერნიზაციის შემდეგ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოსა და მისი ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ კიდევ უფრო გახშირდება თავდასხმები, უხეში ჩარევა ქვეყნის შიდა საქმეებში და გამუდმებული მცდელობა, რომ ეროვნული ხელისუფლება აგენტურით შეიცვალოს.

საზოგადოება კარგად ხედავს, თუ რა დღეში ჩააგდო **Deep State**-მა ევროკავშირი, მისი ეკონომიკა და ქვეყნები. საზოგადოება ასევე კარგად ხედავს და ამერიკის სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიოც ადასტურებს, რომ რუსეთის წინააღმდეგ გლობალურმა ძალებმა უკრაინის ხელით პროქსი ომი აწარმოეს. საბოლოო ჯამში კი შედეგად მიიღეს დასუსტებული ევროპა და განადგურებული უკრაინა.

მეორე მხრივ, უამრავი პრობლემა შეუქმნეს რუსეთსაც, რამაც, ცხადია, მისი საგრძნობი დასუსტება გამოიწვია. და რადგან საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა წინასწარ დაწერილ და, ამავე დროს, ჩვენთვის დამღუპველ სცენარში მონაწილეობაზე, ბუნებრივია **Deep State** ყველა მეთოდს გამოიყენებს, რომ საქართველოში „ურჩი“ ხელისუფლება შეცვალოს, მმართველობაში თავისი აგენტურა მოიყვანოს და თუ მეორე ფრონტის გახსნის აუცილებლობა აღარ იქნება, ეკონომიკურად დაანგრიოს საქართველო. ზუსტად ისე, როგორც ეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს გაუკეთეს. თანაც, ევროპაში გლობალურ ძალებს არათუ დასუსტების და განადგურების ეტყობათ რაიმე, არამედ პირიქით, მოდერნიზაციას განიცდიან და ახალი, შეფარული და აქამდე უცნობი მეთოდებით ცდილობენ მიზნების მიღწევას.

პრეზიდენტ ტრამპს კიდევ ერთხელ და მთელი გულით ვუსურვებთ წარმატებას **Deep State**-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არათუ დამარცხების, არამედ მისი დასუსტების ნიშნებიც კი არ ჩანს.

მოკლე პერიოდში უკვე გამოიკვეთება კონტურები, - ეს არის რეალური ბრძოლა **Deep State**-ის წინააღმდეგ, თუ ეს არის საზოგადოების მოტყუების მცდელობა და ფარულ პროცესებში იმ ფორმით მოდერნიზაცია და რებრენდინგი, რომ მომავალში კიდევ უფრო რთული იყოს სიმართლის გარკვევა...

ასევე, კიდევ ერთხელ, მკაფიოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ საქართველოს მაგალითზე, მომავალში ჩვენი ქვეყნის მიმართ აშშ-ის მიდგომებით და თანამშრომლობის ფორმებით გამოჩნდება, მოხერხდა თუ არა ამერიკაში **Deep State**-ის დამარცხება.

ევროპა ამერიკელების ინტერესების სფეროში აღარ არის

გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი, პროფესორი თამარ პიპნაძე:

— ქალბატონო თამარ, რუსეთის პრეზიდენტი ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. პრეზიდენტს გუნბას შეხვდა. რა მესიჯს უგზავნის პუტინი საქართველოს ამ შეხვედრით?

— საქართველოში პუტინის და გუნბას შეხვედრა არასასურველ ფაქტად მიიღეს. ქართულმა ოპოზიციამ, აფხაზების მწვავე პროტესტის დროს, რასაც ბჟანიას გადადგომა მოჰყვა, უარყოფითი როლი ითამაშა. ისინი, როგორც ყოველთვის, ქართულ ინტერესებს არად დაგიდევენ. მსოფლიოში შექმნილ ვითარებას თუ გადავხედავთ, განსაკუთრებით რეგიონში, კონფლიქტების მოგვარების ტენდენცია იკვეთება. ყველაფერი ტრამპი-პუტინის შეხვედრის შემდგომ გამოიკვეთება. ჩემი აზრით, ამის მერე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით გარკვეული მოძრაობები დაიწყება. დიახ, ახლა კონფლიქტების მოგვარების პერიოდია. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად კარგად ივაჭრებს საქართველოს ხელისუფლება, რა პირობებს დააყენებს და ა. შ. ქართულმა მხარემ ისეთი მატრიცა უნდა შესთავაზოს, სადაც ყველა მხარის ინტერესი დაკმაყოფილდება, პირველ რიგში კი — საქართველოსი. პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა, მაქვს მოლოდინი, რომ ვითარება გაუმჯობესდება.

— საუბრობენ, რომ პუტინმა გუნბა იმისთვის დაიბარა, რომ რუსეთისთვის სასარგებლო ე. წ. კანონები მიიღონ, რომლის ინიცირებასაც აფხაზების მხრიდან მწვავე პროტესტი მოჰყვა. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ რუსეთი ჩვენთვის აფხაზეთის დათმობას არ აპირებს?

— ტყუილია, თითქოს რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობა არ ადარდებს. პირიქით, ჩვენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, საკვანძო ქვეყანა ვართ. პოლიტიკა ვაჭრობაა და ჩვენც კარგად უნდა ვივაჭროთ. როგორც ვახსენე, პუტინი-ტრამპის შეხვედრის შემდეგ გაირკვევა, თუ რა შესაძლებლობები გვექნება. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა ვიაქტიუროთ და საკუთარი ინტერესების დაცვაზე ვიფიქროთ. მჯერა, ამ პრობლემის დარეგულირებაზე რუსეთიც თანახმა იქნება.

— კრემლი, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით, საზღვრების ოფიციალურად დაკანონებას ითხოვს. რა გამწვავება შეიძლება მოჰყვეს ამას?

— ესეც ვაჭრობის საბაბი, წინაპირობაა. რუსეთი ვაჭრობას მაქსიმუმიდან იწყებს. აფხაზეთის აღიარება და საზღვრების დემარკაცია, რა თქმა უნდა, გამორიცხულია. ჯერ ვნახოთ, მსოფლიო გადანაწილების მერე, რა პირობების დაყენების საშუალება იქნება. წლების განმავლობაში სააკაშვილი რუსეთს მხოლოდ პრობლემებს უქმნიდა, რაც 2008 წლის ომით დამთავრდა. ჩვენ მათ პოზიტიური ხედვა და დღის წესრიგი უნდა შევთავაზოთ. საქართველოსადმი ინტერესი, დიდია. აქვე მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოპოვება. ამ ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, ივანიშვილის დამსახურებაა, რომ მართებული ინფორმაცია გვქონდა და სწორი საგარეო კურსი იმიტომაც გვიჭირავს.

— პუტინთან შეხვედრისას გუნბამ განაცხადა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები მხოლოდ მაშინ დალაგდება, როცა ქართული მხარე ჩვენს დამოუკიდებლობას აღიარებსო. თავად აფხაზებს თუ უნდათ ჩვენთან დაბრუნება?

— აფხაზების გარკვეულ ნაწილს კი, ელიტას — არა. რუსეთთან მიმართებით რას მოჰყვა გართულება? — აფხაზებს სურთ, რომ რუსეთმა ფინანსური დახმარება გაუწიოს, სამხედრო თავდაცვა უზრუნველყოს, მაგრამ ურთიერთობები ხომ ორმხრივია, სამაგიეროდ, მათ არაფრის გაღება არ უნდათ. ეს წინააღმდეგობებიც სწორედ ამის შედეგია. ერთია, რას ამბობენ აფხაზები, მით უმეტეს, ხელისუფლების წარმომადგენლები, მეორეა, როგორია ობიექტური რეალობა და რამდენად მოუწევთ დათმობებზე წასვლა. ახლა მშვიდობაა, მაგრამ ეს არ არის პოზიტიური მშვიდობა. ანუ მხარეებს, იგივე ქართულ მხარეს,. ასეთი სტატუს-კვო არ აწყობს. შესაბამისად, მოვლენები ორივე მხარის სასარგებლოდ უნდა განვითარდეს.

— თქვენ კონფლიქტების მოგვარების ტენდენციაზე ისაუბრეთ. ეს როგორ წარმოგიდგენიათ მაშინ, როცა ევროპა რუსეთთან პირისპირ სალაპარაკოდ არ გვიშვებს?

— ლავროვმა განაცხადა, ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის დალაგების წინააღმდეგი არ ვიქნებითო. არავისთვის არის დაფარული, რომ აფხაზეთი გლობალური პრობლემაა — სხვადასხვა მხარეს თავისი ინტერესები აქვს. იმედია, მოლაპარაკებები შედგება, რაც საქართველოსა და რუსეთის პოზიციებს ნათელს მოჰფენს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ მიმართულებით ქართული მხარე მკვეთრ ნაბიჯებს არ დგამს, რადგან ჯერ მსოფლიოში სიტუაცია ბოლომდე გარკვეული არ არის. თუ როგორ დამთავრდება რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკება, საქართველოს ხელისუფლებაც აქედან გამომდინარე იმოქმედებს.

რაც შეეხება ევროპას, ამ შემთხვევაში, მას უკრაინის საკითხის გადაწყვეტაშიც კი არ აქვს თავისი როლი. ეს საკითხი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების დონეზე წყდება. ფაქტობრივად, ევროპა სუბიექტი აღარ

არის. მისი პოლიტიკური ისტებლიშმენტი, ფიცოს და ორბანის გარდა, ძველი ამერიკული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები არიან, იგივე, დიფ სთეითი. ამიტომაც არის ეს პოლიტიკური ელიტა ტრამპისთვის მიუღებელი. მან განაცხადა, რომ გაცილებით უადვილდება რუსეთთან ურთიერთობა, ვიდრე უკრაინასთან. ასე რომ, ომის საკითხი არა ევროპის, არამედ ტრამპისა და პუტინის დონეზე გადაწყდება.

რუსეთ-უკრაინის ომის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ევროპის დასუსტება იყო. ტრამპმა ევროპის ნეგატიურ როლზე ისაუბრა. კერძოდ, იმის შესახებ, რომ ამერიკამ დიდი ხარჯები გაიღო, რათა ევროპა ე. წ. საყოველთაო კეთილდღეობის არეალი ყოფილიყო. ახლა ურთიერთობები ისეთი აღარ იქნება, როგორიც ადრე იყო. იგივე, ნატო-სთან მიმართებაშიც. ტრამპს კარგად ესმის, რომ რუსეთი ძალიან მდიდარი და დიდი ქვეყანაა. იგი ჩინეთთანაც ალაგებს ურთიერთობებს. თავის დროზე, აშშ-სა და ბრიტანეთს ჩინეთთან მიმართებით პოლიტიკა „გაექცათ“ და მთელი საწარმოო სექტორი ჩინეთსა და აზიურ ქვეყნებში იქნა გატანილი, რამაც მათი ეკონომიკური ზრდა, კეთილდღეობა გამოიწვია. ტრამპი ამას მიხვდა და პრაგმატულ პოლიტიკას აწარმოებს.

ევროპა ამერიკელების ინტერესების სფეროში აღარ არის. ამერიკის სფერო, ძირითადად, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიაა. ევროპას მოუწევს, საკუთარ თავზე თავად იზრუნოს. ეს ევროკავშირიც ცივი ომის ინსტიტუციაა. მაშინ მისი არსებობა აქტუალური იყო. ნახეთ, როგორ იქცევა მისი პოლიტიკური ელიტა — უმეტესობა კორუფციის ჭაობშია ჩაფლული. ამიტომ ევროკავშირის მომავალი მაინცდამაინც სახარბიელოდ არ მესახება.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ ყველაფერს ტრამპი-პუტინის მოლაპარაკებები გადაწყვეტს. რა მოლოდინი გაქვთ?

— სიტუაცია მარტივი არ არის. ახლაც დაახლოებით, მეორე მსოფლიო ომის წინ არსებული ვითარებაა, რამაც მაშინ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დაახლოება გამოიწვია. საბჭოთა კავშირი ამერიკის ხარჯზე გაძლიერდა. ინგლისს სხვა პოლიტიკა აქვს, აშშ-ს — სხვა. ამიტომ გეოპოლიტიკური ბალანსი რას მოითხოვს? არ შეიძლება ამერიკა, რომლის პირველი და ყველაზე დიდი გამოწვევა ჩინეთია თავისი ეკონომიკით, ერთდროულად მასაც დაუპირისპირდეს და რუსეთსაც. ამიტომ ტრამპი ჩინეთთან ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებს. რუსეთში აურაცხელი რესურსია. ის ადამიანური კაპიტალითაც მდიდარი ქვეყანაა, რაც მნიშვნელოვანია.

— ტრამპი რუსეთს დაემუქრა, რომ შეთანხმების ჩაშლის შემთხვევაში მასშტაბურ საბანკო სანქციებს დაუწესებს...

— ეს პოლიტიკური პროცესის, ვაჭრობის შემადგენელი ნაწილია. ჩემი აზრით, აუცილებლად შეჯერდებიან.

— ზელენსკისთან ოვალურ კაბინეტში გამართული მოლაპარაკება ჩაიშალა. გუშინ მეორე რაუნდი გაიმართა. რა დასკვნების გამოტანა შეიძლება მომხდარიდან?

— დიახ, ტრამპს ოვალურ კაბინეტში მწვავე რეაქცია ჰქონდა, რადგან რამდენიმე დღით ადრე, ზელენსკიმ გაერთიანებულ სამეფოსთან ასწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ზელენსკის გზავნილი ასეთი იყო: ტრამპს ეს ურთიერთობები სტარმერთან გაერჩია. თავად ზელენსკის გადაწყვეტილების მიღებას არავინ ჰკითხავს. იგი პროქსი ადამიანია, რომელიც სხვის შეკვეთებს ასრულებს. ყველას გვახსოვს, როცა მოლაპარაკებები დაიწყო და მასთან ჯონსონი ჩავიდა, ზავზე ლაპარაკი მაშინვე შეწყდა. აქვე საყურადღებოა ფედერალური სარეზერვო სისტემის რევიზია, რაც, ალბათ, ბევრ რამეს შეცვლის. გლობალისტები სწორედ იქ არიან თავმოყრილი. თუ ტრამპი შეძლებს და ამ რევიზიის შედეგად ვითარებას შეცვლის, გლობალისტებს სერიოზული დარტყმა მიადგებათ. ასე რომ, მოვლენები საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება.

— ტრამპი დღის წესრიგში მთავარ საკითხად მშვიდობას აყენებს. ჩვენზე როდის აისახება ცვლილებები?

— მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება. გეთანხმებით, რომ ჯერ ამის გამოძახილი ჩვენთან არ არის. თუმცა ივანიშვილმა, როცა პირველ მიტინგზე გამოვიდა, ყველაფერი წინასწარ გვითხრა, რა და როგორ იქნებოდა. ვინც ყურადღებით უსმინა, გაიგებდა. გლობალური პროცესებიდან გამომდინარე, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მოვლენები სწორედ ისე განვითარდებოდა, რაზეც ივანიშვილმა მიგვანიშნა. ვიმედოვნებ, ამერიკასთან ურთიერთობები დალაგდება. მეტიც, ჩვენსა და რუსეთს შორის შუამავალი შეიძლება აშშ-იც კი იყოს. თუმცა რუსები ამას მტკივნეულად აღიქვამენ. მათ უნდათ, მოლაპარაკებები პირდაპირ რუსეთთან გაიმართოს.

თამარ შველიძე

მაკრონმა თქვა – ევროპა მოკვდება...



გვესაუბრება პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე:

— ბატონო პეტრე, მაკრონმა განაცხადა, რომ ევროპის მომავალი არ უნდა გადაწყდეს ვაშინგტონში ან მოსკოვში. ასევე, აღნიშნა, რომ ევროპის უსაფრთხოება გარანტირებული არ არის. ზოგადად, როგორ შეაფასებთ მის გამოსვლას?

— მაკრონი რადიკალური განცხადებებით გამოირჩევა, რომელთა ნაწილი რეალობას ზუსტად ასახავს. შეგახსენებთ წლების წინ გაკეთებულ მის ცნობილ განცხადებას, ნატო-ს ტვინი მოკვდაო. ასევე, შარშან ზაფხულში ნათქვამ მის გახმაურებულ ფრაზას: ევროპა კვდება. ის ნამდვილად მოკვდება, თუ რადიკალურ ზომებს არ მივიღებთ, რადგან, ფაქტობრივად, ბოროტი ძალებით ვართ გარშემორტყმულიო. მაკრონი რუსეთს, ირანს და სხვა მსგავს სახელმწიფოებს გულისხმობდა. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ საფრანგეთში, ჯერჯერობით, რადიკალური შემობრუნების რაიმე რესურსი არ არსებობს. ერთ-ერთმა ცნობილმა ფრანგმა სენატორმა თქვა: აშშ-ის ადმინისტრაცია, დღეს შეშლილი იმპერატორის, ნერონის დარია, რომელმაც ბოლოს რომი გადაწვა. ახლა გვაქვს სიტუაცია, როდესაც დასავლეთის მოღალატე ტრამპი დიქტატორ პუტინს ემსახურება. ან ევროპელები შესაბამის ზომებს მივიღებთ: არმიებს გავაძლიერებთ, სამხედრო სამრეწველო კომპლექსს აღვადგენთ, რასაც სრული მობილიზაცია, ძლიერი პოლიტიკური ნება სჭირდება, ან ჩვენი მომავალი ძალიან ბნელი და ტრაგიკული იქნებაო.

ეს ვითარება წლებია, გრძელდება. ჯერ კიდევ უკრაინაში ომის დაწყებამდე და მერეც, „რეინმეტალის“ — ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამხედრო პროფილის მქონე კონცერნის ხელმძღვანელი, ყვიროდა, სიმძლავრეები არ გვყოფნის, არ გვაქვსო. მიუნხენის კონფერენციის მერე, მან ვრცელ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ევროპის საწყობებში საბრძოლო მასალები საერთოდ ამოწურულია. შარშან ბაიდენის ადმინისტრაცია, ევროკავშირი და ნატო, უკრაინას ერთად დაჰპირდნენ, რომ, ვიდრე პუტინი წელიწადში სამ მილიონ საარტილერიო ჭურვს დაამზადებდა, ესენი სამმაგი ოდენობის ჭურვებს მიაწვდიდნენ, მაგრამ დაპირება ვერ შეასრულეს. სიმძლავრეები არ ეყოთ მაშინ, როცა რუსეთი ბევრად მეტს ამზადებს და ჩრდილოეთ კორეიდან და ირანიდანაც ჭურვებს უწყვეტ რეჟიმში იღებს. დიახ, ჩრდილოეთ კორეაში ხალხი შიმშილობს, მაგრამ ჭურვები უპრობლემოდ მზადდება.

ასე რომ, ევროპამ მოკლე დროში ასეთი გარდატეხა რომ შეძლოს, ეს საწარმოები თავიდან უნდა ააშენოს, რათა საკუთარი ინდუსტრია ჰქონდეს და სხვისგან შეიარაღების და სხვა საბრძოლო საჭიროებების ყიდვა არ მოუწიოს. ასევე, ჯარში გაწვევის მექანიზმი ხელახლა უნდა შექმნას და დიდი ოდენობით ფული დახარჯოს. ეს უაღრესად რთული ამოცანაა. თანაც მაშინ, როცა ღრმა დემოგრაფიული კრიზისის პირობებში, ევროგაერთიანებაში საშუალო ასაკი 50 წელიწადზე მეტია. არც პოლიტიკური პარტიებისთვის იქნება მომგებიანი, ხალხს მოუწოდონ, რომ საფრთხისთვის მზად იყვნენ. მოსახლეობა ომის საფრთხეს ვერ გრძნობს.

შეგახსენებთ, 2008 წელს აგვისტოს ერთდღიანი ომის შემდეგ, მთელი ევროპის მასშტაბით მოსახლეობაში გამოკითხვა ჩატარდა. საფრანგეთის, გერმანიის, ბრიტანეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამბობდა, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს არმიით არ უნდა დავეხმაროთო. ბალტიის — ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ახლა ნატო-ს წევრები არიან, მაგრამ ევროპის მოსახლეობა მათ დახმარებაზეც უარს აცხადებდა, — მაინც რუსეთის გავლენის სფეროაო. ახლა, როცა მაკრონს არჩევნების დროს პრობლემები შეექმნა, ხალხი უფრო მეტად სოციალური დახმარების, პენსიების გაზრდას, ანუ ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის პრობლემების გადაწყვეტას ითხოვდა.

2008-2009 წლების დიდი კრიზისის შემდეგ, ევროპის ეკონომიკები რეცესიულია. ეს არ არის ეკონომიკური ბუმი. კი ბატონო, ევროკავშირი ნამდვილად ეკონომიკურ გიგანტად რჩება, თავისი 400-ზე მეტმილიონიანი მოსახლეობით. მაგრამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ერთ-ერთმა გამოჩენილმა ბრიტანელმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა თქვა: ევროკავშირი ეკონომიკური გიგანტი და გეოპოლიტიკური ჯუჯაა. ჩვენ ან ვისწავლით გეოპოლიტიკურ თამაშებს და ძლიერი გეოპოლიტიკური აქტორი გავხდებით, ან დავრჩებით გეოპოლიტიკურ ჯუჯად და ჩვენი წონაც შესაბამისი იქნებაო. უკრაინაში ომის სამმა წელიწადმა განვლო და მათ ვერაფერი გააკეთეს. ვნახოთ, რა მოხდება სამომავლოდ.

— ევროპის გადაიარაღების გეგმა ურსულა ფონ დერ ლაიენს ეკუთვნის. ეს რამდენად მიღწევადია? ამისთვის 800-მილიარდიან ფონდსაც ქმნიან...

— ადრე ყოფილა შემთხვევები, როცა ომების დროს ძალების სრული მობილიზაცია უსწრაფესად ხდებოდა. თუმცა აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის დროს, იქ, სადაც არცერთი ჭურვი არ ჩამოვარდნილა, შენობები არ დაბომბილა და ამ ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომი საერთოდ არ გადასულა, მოსახლეობას სურსათი საბარათო სისტემით მიეწოდებოდა. რატომ? — იმიტომ, რომ ყველა რესურსი ომისკენ იყო მიმართული და სასწაულიც მოახდინეს. რუზველტი ოცნებობდა, კონკრეტული ოდენობის ტანკები დამზადებულიყო, მაგრამ ბევრად მეტი ტანკი დამზადდა, იმდენად დიდი ძალისხმევა გამოიჩინა მთავრობამ და საზოგადოებამ. მობილიზაცია სულ სხვა რამაა, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალგაზრდობაა, განსაკუთრებით, ბიჭები 15-დან 30-წლამდე. ხოლო, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი 50 წელს არის გადაცილებული, საპენსიო ასაკისაა, აქ რესურსი სულ სხვაა. და როცა მუშა პერსონალი, ძირითადად, სხვა ქვეყნებიდან — არაბეთიდან, აფრიკიდან არის ჩამოყვანილი, ეს მთლიანად მოსახლეობაში სულ სხვა განწყობას ქმნის. ასე რომ, სახეზეა პრობლემები. ნამდვილი მეცნიერები ასპროცენტიან პროგნოზებს არასდროს აქვეყნებენ. ახალ რელსებზე გადასვლის გზაზე დიდი სირთულეებია, რაც სწრაფად ვერ მოხდება. უკრაინაში ომი დასამთავრებელია, მაგრამ ერთ-ორ წელიწადში ევროპა ფეხზე ვერ დადგება.

რაც შეეხება 800-მილიარდიანი ფონდის შექმნას, მსგავსი ფონდი შეიქმნა კოვიდ პანდემიისას, რა დროსაც 700 მილიარდი გამოიყო. არნახული მობილიზაცია იყო. ასევე, საბერძნეთის კრიზისის დროსაც შეიქმნა ანალოგიური ფონდი. ეს კრიზისი ბრიუსელში არსებული კორუფციით და საბერძნეთის მაშინდელი მთავრობების თანხის არნახული ხარჯვით იყო გამოწვეული. კი ბატონო, მიუხედავად რეცესიისა, ევროკავშირი ეკონომიკური გიგანტია, მაგრამ რა მერე? აქ ლაპარაკია ხელახალი ინსტიტუტების, წარმოებების შექმნაზე, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი კადრები, წვრთნა, მუშაობა და ა. შ. 800 მილიარდით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ვისგან იყიდიან სწრაფად ამ იარაღს? საწარმოები შვედეთშიც არის, ნორვეგიაშიც. შეუძლიათ, ამერიკაშიც იყიდონ, ტრამპი არ აუკრძალავს. ასევე, საუდის არაბეთში, რომელსაც უძლიერესი არმია ჰყავს. დაველოდოთ, რა მოხდება.

— მაკრონი პარიზში ევროპის ქვეყნების გენშტაბების უფროსების შეკრებას და საფრანგეთის ბირთვული ქოლგის ქვეშ მოქცევაზე დისკუსიის დაწყებას აპირებს. ლავროვმა საფრანგეთის პრეზიდენტის ბირთვული რიტორიკა რუსეთზე მუქარად აღიქვა...

— საქმე ის არის, რომ ბრიტანეთსა და საფრანგეთს თავიანთი ბირთვული იარაღი აქვთ,. მაგრამ ბრიტანეთს ბირთვული იარაღის გამოყენება, ხელშეკრულების თანახმად, ამერიკის თანხმობის გარეშე არ შეუძლია. საფრანგეთს კი, ამ მხრივ ავტონომია აქვს, რასაც დე გოლმა მიაღწია. მან გარკვეული პერიოდით, საფრანგეთი ჯართან ერთად, ნატოდან გაიყვანა. ახლა მოსაზრებას საფრანგეთის, როგორც ბირთვული ქოლგის შესახებ, რეალობისგან მოწყვეტილად, სკეპტიკურად აფასებენ. უცხოელი პოლიტოლოგები მაკრონის განცხადებებს სერიოზულად არ აღიქვამენ. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა ადამიანი რამეს იტყვის და უსათუოდ შეასრულებს.

აი, სტალინი რომ სთავაზობდა საფრანგეთს და ბრიტანეთს, ჰიტლერის წინააღმდეგ გაერთიანებას, ეს გეგმა კონკრეტულ ტექნიკურ დეტალებამდე გაწერილი იყო. კერძოდ, რამდენ ტანკს, არტილერიას გამოიყვანდა საბჭოთა კავშირი ბრძოლის დროს, ლამის ავტომატების ოდენობაც მითითებული იყო. ახლა მსგავსი არაფერი ხდება. მაკრონის ნათქვამი ევროპელ ლიდერებში არ იწვევს განცდას, რომ იგი ის ადამიანია, ვისთან ერთადაც შედეგს მიაღწევენ. მის მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ არის. ვნახოთ, სხვები რა განცხადებებს გააკეთებენ. მაგალითად, ნატო-ს გენმდივანი აცხადებს, რომ აშშ-სთან, მათ შორის, უშუალოდ ტრამპთან, კონსტრუქციული, ინტენსიური თანამშრომლობა უნდა ჰქონდეს და აქედან გადახვევა არ შეიძლება, რადგან, სამხედრო თვალსაზრისით, ჯარით, თუ შეიარაღებით, აშშ გაცილებით ძლიერია, ვიდრე დანარჩენი ევროპა და თუნდაც, მსოფლიო.

ბოლოს ტრამპის კონგრესში გამოსვლაზეც გეტყვით ორიოდ სიტყვას. მან კატეგორიულად გააჟღერა, რომ ღმერთმა დაიფარა, რათა მას ამერიკა გადაერჩინა. თითქოს მართლაც ამ იდეით არის გატაცებული, რომ მესიის ფუნქცია უნდა შეასრულოს. მან ახსენა, რომ გრენლანდია, მთელი მსოფლიოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის სჭირდება. იქ 60 ათასამდე მოსახლეა. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, საზღვრების ძალისმიერი შეცვლა არ შეიძლება. დავაკვირდეთ მოვლენების განვითარებას. მარტივი ვითარება ნამდვილად არ არის. ამერიკის მოსახლეობას უფრო შიდა პრობლემების (სოციალური, ეკონომიკური, საზღვრების დაცვა, მიგრაციის საკითხები) მოგვარება აინტერესებს, ვიდრე ის, რა ხდება სადღაც, სხვა კონტინენტზე, იქნება ეს უკრაინა, ტაივანი, თუ სხვა. საგარეო პოლიტიკა აშშ-ის მოსახლეობის პრიორიტეტი არასდროს ყოფილა, გარდა მეორე მსოფლიო ომისა, როცა იაპონიის საჰაერო ძალები აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტს პერლ-ჰარბორის ბაზაზე თავს დაესხნენ. აშშ-ის ფლოტი, გაფრთხილების გარეშე, ბარბაროსულად დაიბომბა. ერთ დღეში ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა.

თამარ შველიძე

ოპოზიციამ პოლიტიკური ხარაკირი გაიკეთა

გვესაუბრება პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი
ლევან ნიკოლეიშვილი:

— ბატონო ლევან, აშშ-ის სენატმა სახელმწიფო და თავდაცვის დეპარტამენტებს დირექტივა მისცა, ჩინეთის მზარდ ეკონომიკურ გავლენებზე მსოფლიო მასშტაბით მოქმედება დაიწყოს, განსაკუთრებით, პორტებზე...

— ეს პროექტი, ძირითადად, ბაიდენისეული სენატორების მიერ არის ინიცირებული და რამდენად მოხდება მისი დამტკიცება, ეს ცალკე საკითხია. რაც მთავარია, ტრამპს ჩინეთთან მიმართებით საკუთარი მოსაზრება აქვს. მას სურს, საგარეო პოლიტიკა ისე დაალაგოს, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც ამერიკის, ისე ჩინეთის ინტერესები, რათა მათ შორის ჯანსაღი ურთიერთობა შედგეს. გასაგებია, რომ ტრამპი აშშ-ის ინტერესებს ემსახურება. ამავდროულად, იგი დამოუკიდებელი ქვეყნების ინტერესებსაც ითვალისწინებს. ჯერჯერობით, ამ პროექტს არ აქვს ისეთი გამოძახილი, რომ ქვეყნების ურთიერთობაზე სერიოზული გავლენა იქონიოს. ტრამპი უშუალოდ სი ძინპინთან შეხვედრას აპირებს, რის შესახებაც თავად განაცხადა. ევროპასთან და მერე ჩინეთთან მთელი რიგი საკითხების დასარეგულირებლად პროგრამა წარდგენილია. ეს უფრო სერიოზული იქნება, ვიდრე სენატში წარდგენილი აქტი.

— ანაკლიის პორტის აშენებას ჩინური კონსორციუმი აპირებს. ზემოაღნიშნული აქტი ანაკლიაში ჩინური ინვესტიციის განხორციელებას ხელს შეუშლის?

— არ შეუშლის. ჩინეთს და აშშ-ს, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ აქვთ, რა პოლიტიკა უნდა განახორციელონ. ერთია ცალკეული ადამიანების მოსაზრებები და მეორეა რეალური მიმართულებები, რის დარეგულირებასაც ტრამპი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ეცდება. რაც შეეხება ანაკლიის პორტს, ეს საქართველოს პირადი საქმეა და არ მგონია, ისეთი ჩარევა მოხდეს, რასაც წინა ადმინისტრაციის დროს ჰქონდა ადგილი.

— სატრანზიტო შესაძლებლობებმა შეიძლება აშშ დააინტერესოს, რათა ანაკლიის პორტს დაუბრუნდეს. ხაზარაძემ აღნიშნა, ჩინური ინვესტიციების შეკავება და მათი ამერიკულით ჩანაცვლება უნდა მოხდესო...

— აშშ ამ პროექტში არც მაშინ მონაწილეობდა. რასაც მაშინ ხაზარაძე გვთავაზობდა, ილუზია იყო. ამის ფონზე ანაკლიის პორტის მშენებლობაში აშშ-ის მონაწილეობა სერიოზულად არც განიხილებოდა და შედეგად, ეს ავანტიურა კიდეც დასრულდა. ვიდეომასალაც არსებობს, როგორ ეპატიჟებოდა ხაზარაძე პორტის ასაშენებლად ხან ჩინელებს, ხან ამერიკელებს. იმ ადამიანის ნებისმიერი განცხადება, რომელიც არათანმიმდევრული საგარეო პოლიტიკური აზროვნებით გამოირჩევა, არასერიოზულია.

— დღეს მთავარი საკითხი მინერალებთან დაკავშირებული შეთანხმებაცაა. მინერალები ცენტრალურ აზიაშიც არის, რომლის დასავლეთისკენ გადატანის მშვიდობიანი გზა ანაკლიის პორტზე გადის. ამ მხრივ ხომ არ გახდება აშშ-სთვის ანაკლია საინტერესო?

— ვფიქრობ, აშშ-ისთვის სამხრეთ კავკასია ინტერესის სფერო იყო, არის და იქნება. თუმცა იმისთვის, რომ ამან რეალური სახე მიიღოს და აქ აშშ-ის ინტერესები განხორციელდეს ისე, რომ არცერთი მხარე არ დაზარალდეს, ჯერ საჭიროა, აშშ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობები აღდგეს და გაუმჯობესდეს. ბაიდენის ადმინისტრაციის მხრიდან საქართველოს ბევრი ზიანი მოადგა. საქართველოს ხელისუფლებამ მზაობა გამოთქვა, ეს ურთიერთობები დალაგდეს და თუ საჭირო იქნება, თანამშრომლობა ახალი ფურცლიდან დავიწყოთო. კი ბატონო, აშშ-ს აქ თავის ინტერესები აქვს, მაგრამ საქართველოსაც აქვს თავისი ეროვნული ინტერესები. იმისთვის, რომ ეს ინტერესები თანხვედრაში მოვიდეს, საჭიროა ამ დაზიანებული ურთიერთობების გადატვირთვა, აღდგენა. სანამ ეს არ მოხდება, სხვა საკითხებზე საუბარი ნაადრევია.

— ოვალურ კაბინეტში მოწყობილი სკანდალის შედეგად, შეთანხმება ჩაიშალა. რა მოლოდინები გაქვთ?

— სიმართლე გითხრათ, მოველოდი, რომ ასე მოხდებოდა, რადგან ამ მოლაპარაკებაში ისეთი ავანტიურისტი პოლიტიკოსი მონაწილეობდა, როგორიც ზელენსკია. ანუ, მას ჰქონდა ამის მოტივაცია — მან და მისმა ევროპელმა ლობისტებმა გადაწყვიტეს, რომ ამერიკელებმა ისინი, მათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე, პროცესიდან „მოტეხეს“. ინტერესები კი, რეალურად ომის, მსხვერპლისა და ქალაქების ნგრევის ხარჯზე დიდი ფულის შოვნა და არალეგალური ბიზნესის, ვაჭრობის უფრო გაფართოება გახლდათ. ამ დროს ტრამპმა ზელენსკის ომის დასრულების წინაპირობად მაგიდაზე „წიაღისეულის შეთანხმება“ დაუდო. მაგიდის აყირავების შემდეგ ზელენსკიმ ევროპას მიაშურა, რისი შედეგებიც უკვე იკვეთება. რეალურად, წიაღისეულზე შეთანხმება ერთგვარი საგარანტიო წინაპირობაა, რომ ზელენსკი საკუთარ ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას სერიოზულად პირ ხაფანგია. ასევე, არასერიოზულია პოლონეთისა თუ დანიის პრემიერ-მინისტრების განცხადებები. მათ არ გააჩნიათ სახსრები და საშუალება თავდაცვის ევროპული სტრუქტურის შესაქმნელად. ასევე, არასერიოზულია მაკრონის ინიციატივა ბირთვული შემაკავებელი ფაქტორის შესახებ. ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესანიშნავი სტრუქტურა, სისტემა — ნატო მოქმედებს. ახალი ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. ნატო-ში ლიდერი ქვეყანა აშშ-ია, რომლის მსგავსი ბირთვული არსენალი, საჰაერო თუ საზღვაო გადაზიდვების პოტენციალით, ნატო-ს წევრ არცერთ ქვეყანას არ გააჩნია. ანუ, ეს სტრუქტურა უკვე არსებობს და ის ერთადერთია, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის დროს არ დაზარალებულა, — ნატო-ს საზღვრები არავის დაურღვევია, მის ქვეყნებზე შეტევა არავის განუხორციელებია.

ევროკავშირი რუსეთთან ამ კონფლიქტში შესვლას ან შესაძლო კონფლიქტისთვის გარკვეული თავდაცვის სისტემების მოფიქრებას გეგმავს, ეს ახალი ველოსიპედის გამოგონებას ჰგავს. ამაზე ათეული წლებია, საუბრობენ — ყოველწლიურად, როგორც კი რუსეთიდან თითქოს საფრთხეს დაინახავენ, ახალი სტრუქტურის შექმნაზე ფიქრს იწყებენ. თუმცა, აქ მხოლოდ რუსეთის საფრთხეზე არ არის საუბარი. ეს ამერიკისთვის ერთგვარი ნიშნის მოგებაა. დიახ, პროვოკაციის მოწყობის მცდელობაა, ცალკე ტრამპზე და ცალკე რუსეთზე. თუ ვინმეს საკუთარი თავის გაწირვა სურს, მაშინ რუსეთს ომი პირადად გამოუცხადოს და აშშ-ს ინტერესები პირადად „გადაუკეტოს“.

ევროპა, უბრალოდ, ტრამპს აშანტაჟებს, რათა ნატო-ს გადასახადი არ გადაიხადოს და აცხადებს, თითქოს ევროკავშირი ნატო-ს გარეშეც შეძლებს თავის დაცვას. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამერიკის გარეშე ევროპის კონტინენტზე თუნდაც რუსეთის მოსალოდნელი საფრთხისგან თავის დაცვა შესაძლებელია, ძალიან ცდება. ძალთა ბალანსს თუ გავითვალისწინებთ, რუსეთისთვის პროვოკაციის მოწყობა მიზანშეწონილი არ არის. ვხედავთ, რომ ასეთმა პროვოკაციებმა შედეგად რუსეთ-უკრაინის ომი მოიტანა.

— მალე საუდის არაბეთში მოლაპარაკებების მეორე რაუნდი შედგება...

— ვფიქრობ, მიუხედავად მცდელობებისა, რომ ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმება არ შედგეს, ეს მაინც მოხდება. ჩემი ვარაუდით, მალე უკრაინაში არჩევნები დაინიშნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯამბაზი ზელენსკი ხელისუფლებას დატოვებს. იმედია, ახალი ხელმძღვანელობა ქვეყნის გადარჩენაზე იფიქრებს. დიახ, ქვეყანა გადასარჩენია, რასაც პრაგმატული მიდგომა სჭირდება. რა თქმა უნდა, მეორე ვერსიის თანახმად, შესაძლოა, მოლაპარაკებების მეორე რაუნდიც ჩაიშალოს. ასეთ შემთხვევაში, უკრაინას და მის წამქეზებელ ევროპას მოუწევთ გამოსცადონ, როგორი იქნება ამერიკის დახმარების გარეშე რუსეთთან ბრძოლა. მოსალოდნელ შედეგებს არავის ვუსურვებდი.

— ტრამპმა აღნიშნა, რუსეთისგან მშვიდობის სიგნალები მოდისო, თუმცა დაემუქრა, თუ შეთანხმება არ შედგება, მასშტაბურ საბანკო სანქციებს დავაწესებო...

— საქმე ის არის, რომ ამ ომის დასრულება ყველაზე მეტად თუ ვინმეს უნდა აწყობდეს, ეს რუსეთი და უკრაინაა, რადგან ორივემ დიდი ზარალი ნახა. არ ვამბობ, ვინ დარჩება მოგებული ან წაგებული, ეს შედეგებიდან გამომდინარეა. ზავის დადება ორივეს აწყობს. თუ შეეცდებიან, ტრამპის შეთავაზება უკუაგდონ და ომი კვლავ განაგრძონ, ეს ორივესთვის დამაზარალებელი იქნება. ასე შეიძლება ორივე მხარე უფრო დამარცხებული აღმოჩნდეს, ვიდრე გამარჯვებული. გამარჯვებული ის მხარე იქნება ვისაც მეტი უპირატესობა ექნება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მშვიდობა არ არის ის ფასი, რომლის გაღებაც ღირს, ძალიან ცდება. ეს არც ევროპელებისთვის არის ადვილი, უსაფრთხოების არქიტექტურა მძიმეა. ევროპელი ლიდერები: ურსულა ფონ დერ ლაიენი, კაია კალასი, დონალდ ტუსკი, ემანუელ მაკრონი და სხვები, ომის შედეგებს ძალიან არასერიოზულად განიხილავენ. არ ვისურვებდი, ეს საკუთარ თავზე იწვნიონ და ამერიკასთან სახვეწარი გაუხდეთ, რომ იძულებითი მშვიდობა დამყარდეს, რისთვისაც დიდი ფასის გადახდა მოუწევთ. დღეს რომ იკრიბებიან სასახლეებში და თავდაცვისთვის მილიარდების გამოყოფაზე მსჯელობენ, ყოველივე ქმედებაში რომ გადაიზრდება, სასიხარულო არაფერი ექნებათ. ამიტომ სჯობს, ყველა მხარე დაფიქრდეს, რა არის ომი, რომელთან დაკავშირებითაც რუსეთსაც, უკრაინასაც და ევროპასაც თავისი მინუსები და პლუსები აქვთ. ამიტომ, როცა მხარეები არცთუ სახარბიელო მდგომა-

7 გვ.

ელჩების მოვალეობა ჭკუის სწავლება არ არის!..

გვესაუბრება „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე, პოლიტიკოსი სოსო შატბერაშვილი:

— ბატონო სოსო, არჩევნებიდან ოთხი თვე გავიდა, ოპოზიცია კვლავ ქუჩაშია, ახლახან პროტესტის ასი დღის იუბილე აღნიშნეს. როგორ შეაფასებთ მიმდინარე პროცესს?

— ყოფილა შემთხვევები, როცა არჩევნების დროს ხმები წაგვართვეს, შედეგები გაგვიყალბეს, ან რევოლუცია მოხდა და სრულიად უკანონოდ პარლამენტიდან დაგვითხოვეს. 2003 წელს პარლამენტის წევრი ვიყავი, როცა სააკაშვილმა არჩევნების გაყალბების ეგიდით, დეპუტატების ერთი ნაწილი დაგვითხოვა. თუმცა, ქუჩის აქციებისთვის არასდროს მიგვიმართავს. ყოველთვის სამართლებრივ გზას ვირჩევდით. არჩევნების შედეგები სტრასბურგში გავასაჩივრეთ და კიდეც მოვიგეთ. დიახ, ჩვენი მთავარი კოზირი სამართლებრივი ბრძოლა იყო. დღეს ოპოზიცია სამართლებრივად კი არ იბრძვის, ას დღეზე მეტია, ქუჩაში დგას. ეს პროტესტი არ არის. არაერთი მიტინგის მონაწილე და ორგანიზატორი ვყოფილვარ, მაგრამ პარლამენტის შენობის, პოლიციელის მიმართულებით ქვა არასდროს მისვრია, მით უმეტეს, მოლოტოვის კოქტეილი. ჩემს დროს, მიტინგებზე ხიდან ფოთოლიც კი არ ვარდებოდა. არც ნაგავის ყუთი დაგვიწვავს, არც რუსთაველის თეატრი ან ქაშვეთის ტაძარი წაგვიბილწავს და არც მკითხავები ჩამოგვიყვანია შსს-თან შელოცვების მოსაწყობად. ეს სამარცხვინოა, ამ ე. წ. ოპოზიციას მთელი ქვეყანა დასცინის.

— მათი მთავარი მოთხოვნა ხელახალი არჩევნები და პოლიტპატიმრების გათავისუფლებაა...

— დღეს საქართველოში პოლიტპატიმრები არ არიან. პოლიტპატიმრები იყვნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და ის ადამიანები, რომლებიც კომუნისტური მმართველობის დროს დაპატიმრებულნი იყვნენ. ზოგი სინდისის პატიმარიც იყო. მზია ამაღლობელზე ამბობენ, პოლიტპატიმარიაო. არც მერაბ კოსტავას და არც სხვა პოლიტპატიმრებს პოლიციისთვის სილა არ გაუწნავთ. პირიქით, საბჭოთა კანონებს იცავდნენ. ისინი საბჭოთა წყობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რისი უფლებაც კონსტიტუციით ჰქონდათ. ამაღლობელი რანაირი პოლიტპატიმარია? — ხელწერილით გაათავისუფლეს და ერთ საათში პოლიციელს თავს დაესხა. ეს ქალბატონის საქციელია? მით უმეტეს, რომ ჟურნალისტად მოაქვს თავი. იგი ჟურნალისტი კი არა, ხულიგანია. მაგრამ მთავარი იცით, რა არის, როცა რევოლუციის მოწყობაზე მიდიხარ, მერე ნუღარ წუწუნებ: უი, დამაპატიმრეს, ხუთი ათასი ლარით დამაჯარიმესო. რევოლუციონერი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. გავიხსენოთ, რამდენჯერ დაიჭირეს და გადაასახლეს სტალინი და სხვა რევოლუციონერები. ვინც რევოლუციონერობაზე თავს დებს, სიკვდილისთვისაც მზად უნდა იყოს. ეს არის რევოლუციის იდეა. ასე განხორციელდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია, პურიტანული — დიდ ბრიტანეთში. ესენი ამაღლობელს და მსგავსთ, პოლიტპატიმრებს რომ ეძახიან, სასაცილოა და მეტი არაფერი.

— სხვათა შორის, ტრამპმა კონგრესში განაცხადა, რომ პოლიციელების მკვლელებს სიკვდილით დასჯის...

— ჩვენს ე. წ. ოპოზიციას სინდის-ნამუსზე ხელი აღებული აქვს. ის უცხო ქვეყნის დაკვეთას ასრულებს. პოლიციელს ფორმაზე იმ სახელმწიფოს გერბი აქვს მიკრული, რომელსაც ემსახურება, ანუ პოლიციელი სახელმწიფოს წარმომადგენს და მასზე ხელის აწევა იგივე სახელმწიფოზე თავდასხმას ნიშნავს. შედეგად, მზად უნდა იყო, რომ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ ხელის აღმართვის მუხლით გასამართლდები. გადავხედოთ, როგორ ექცევიან მომიტინგეებს გერმანიაში, საფრანგეთში. ამერიკაში კაპიტოლიუმზე შტურმის დროს ხუთი ადამიანი მოკლეს. როცა სააკაშვილის წინააღმდეგ მიტინგებს ვმართავდით, პოლიციელისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი არ მიგვიყენებია. მაშინ პოლიცია აბსოლუტურად მშვიდობიან მომიტინგეებს გვარბევდა. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, მათთვის სილა რომ გაგვეწნა. კეთილი ინებონ და საპროტესტო გამოსვლების დროს კანონი დაიცვან.

ამასწინათ „ფეისბუქზე“ დავწერე, პროამერიკელი ვარ-მეთქი. ვიღაცამ დამიკომენტარა: შენ პროპუტინისტი ხარო. მე ტრამპის მიერ განხორციელებული ეროვნული, კონსერვატიული პოლიტიკა მომწონს, რომელსაც პრეზიდენტად პირველად მოსვლის დროსაც ახორციელებდა და ახლაც ამ ხაზს განაგრძობს.

— ოპოზიციის რიტორიკას ევროპაც აჰყვა და მთავრობისგან ისიც ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. ეს რამ განაპირობა?

— იმან, რომ ევროკავშირი წარმოუდგენლად კორუმპირებული ორგანოა. აღმოჩნდა, რომ მას არც აშშ ჩამორჩებოდა. კომუნისტური საბჭოთა კავშირი ბავშვობიდან მძულდა, დასავლეთი კი წესიერების, პატიოსნების, დემოკრატიის სიმბოლოდ, აკვნად მიმაჩნდა. არადა, დასავლეთი უფრო კორუმპირებული გამოდგა, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირი. ევროჩინოვნიკების ბინების ჩხრეკისას სახლებიდან უკანონოდ მოპოვებული თანხები ყუთებით გამოჰქონდათ. სოციალური დაცვის ეგიდით ბიუჯეტიდან მილიარდები იხარჯებოდა 140-160 წლის მოქალაქეებზე, რომლებიც ბუნებაში არ არსებობენ. ერთი მოქალაქე 360 წლის ყოფილა, ანუ, თავად აშშ-ზე უფროსი.

აი, ეს კოლექტიური დასავლეთი უჭერს მხარს ამ უბადრუკ ოპოზიციას იმიტომ, რომ კორუფცია ბატონობს. კეზერაშვილს, ჭყონიას, ხაზარაძეს ევროპაში ფული ჩემოდნებით ჩააქვთ და კანონით ნებადართული ლობისტური კომპანიები მოსყიდული ჰყავთ, რაც კანონით დაშვებული მექრთამეობაა და მეტი არაფერი. ეს კომპანიები მიღებულ ფულს კორუმპირებულ პოლიტიკანებზე ანაწილებენ და აი, ასე ხდება დასავლეთიდან ოპოზიციის მხარდაჭერა. ავიღოთ თუნდაც შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კარლ ბილდტი, რომელსაც საქართველოში „კარლ ბილწი“ უწოდეს, ისიც კორუმპირებულია. ბილდტი პრემიერობიდან გადადგა, ახლა ფულებს „ლობიზმში“ იღებს და რასაც უკვეთავენ, იმას ლაპარაკობს. აი, ამიტომ უჭერს დასავლეთი მომიტინგეებს მხარს და გაჰყვირის, ხელახალი არჩევნები ჩაატარეთო და არა იმიტომ, რომ მას საქართველოში დემოკრატიის საკითხი, ადამიანის უფლებების დაცვა, ან

არჩევნები აღელვებს. ეს საერთოდ არ აინტერესებთ.

— მაკკეინის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ლორა თორნტონმა ხელისუფლების მიერ ინიცირებულ კანონებს არადემოკრატიული, რეპრესიული უწოდა. აქვე განაცხადა, უცხოური დაფინანსების აკრძალვით, დამოუკიდებელი მედიის თავისუფლება იზღუდებაო. რაზეც თურმე, ძალიან ღელავს...

— თავად მაკკეინი ის პიროვნება იყო, რომელიც ყველაფერს აკეთებდა, რათა საქართველოში 2008 წლის ომი დაწყებულიყო, რუსეთი თბილისის ცენტრში შემოსულიყო, პარლამენტის შენობა ტანკებს დაეკავებინა და სააკაშვილის ხელისუფლება დაემხო. ეს სურდა მაკკეინს, რათა შემდეგ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გაემარჯვა. დიახ, ამისთვის ქართველ ხალხს სწირავდა და გაწირა კიდეც — ცხინვალში, შიდა ქართლში, აფხაზეთში, რუსული ჯარი რომ დგას, ეს ნაკლები ტრაგედიაა?! მაკკეინი და მერე მისი ინსტიტუტი, საქართველოში დესტრუქციის მთავარი გამომწვევები არიან, რასაც რამდენიმე დღის წინ პასუხი თავად აშშ-ის ხელისუფლებამ გასცა, როცა მასკმა განაცხადა, ნჯო-ების ჩამოცილებით ამერიკა ამოისუნთქავსო. ლორას ვიცნობდი, როცა აქ მუშაობდა და მაშინ ასეთი აგრესიული არ იყო. ახლა მეპატრონეების დავალებას ასრულებს ისევე, როგორც ზურაბიშვილი, რომელმაც იმ ადამიანებთან თანამშრომლობა დაიწყო, რომლებიც უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ. აი, ასეთი უთავმოყვარეოები, ყველაფრის მკადრებლები არიან ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ ინსტიტუტიდან ფინანსდებიან.

თუმცა, აქციები ჩაუვარდათ. იცით, რატომ? — ქართველი ხალხი ბოლო 32 წლის განმავლობაში პოლიტიკურად ძალიან გაიზარდა. მან ზვიად გამსახურდიას დამხობის, სამოქალაქო ომის, რუსეთის შემოჭრის, ტერიტორიების დაკარგვის შედეგად, დიდი გამოცდილება მიიღო და საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ოპოზიციას აღარ აჰყვა. ამ უკანასკნელს ხელისუფლებასთან რომ არაფერი გაუვიდა, გზების გადაკეტვა, სახლებში, სკოლებში შევარდნები და მოწოდებები დაიწყო, რომ ბავშვები ვითომ გაყალბებული არჩევნების გასაპროტესტებლად ქუჩაში გამოეყვანა. დიდები ველარ გამოჰყავდათ აქციებზე და ბავშვების შეცდენა დაიწყეს. ამის გამოა, რომ ამბობენ, ვითომ საქართველოში მედია შეზღუდულია. მედიის შეზღუდვას რაც შეეხება, როგორ შეიძლება, ეს სიმართლე იყოს, როცა თქვენ მირეკავთ, მე იმას გელაპარაკებით, რასაც ვფიქრობ და ასეც ბეჭდავთ — არც არავინ მზღუდავს და არც იმას მკარნახობს, რა და როგორ ვილაპარაკო. ახლა მედია სრულიად თავისუფალია — ოთხი ტელევიზია ამ ე. წ. ოპოზიციაზე მუშაობს, რომელიც საქართველოს არმიის ქურდის, კეზერაშვილის, ჭყონიას და ხაზარაძის მიერ ფინანსდება. უცხოეთიდან მედიის დაფინანსებას, რა თქმა უნდა, არ ვემხრობი.

— 2008 წლის ომი ახსენეთ. დროებითი საპარლამენტო კომისია ამ საქმის გამოძიებას აპირებს...

— ეს კომისია 2012 წელს უნდა შექმნილიყო. ამ მხრივ ხელისუფლების მიმართ პრეტენზია მაქვს: დანაპირები არ შესრულდა. 2012 წელსვე უნდა გასამართლებულიყო მთელი „ნაცმოძრაობა“, რითაც სამართლიანობა აღდგებოდა. ასევე, ხალხს უკანონოდ წართმეული ქონება უნდა დაბრუნებოდა. იმედია, ამჯერად დანაპირები შესრულდება და კვლავ პიარკამპანიად არ დარჩება.



ოპოზიციამ პოლიტიკური ხარაკირი გაიკეთა

5 გვ.

— პარლამენტი ღალატის მუხლის აღდგენასაც აპირებს...

— სააკაშვილმა ღალატის მუხლი იმიტომ გააუქმა, იცოდა, ღალატი თავად რომ უნდა ჩაედინა. ეს, იცით, რას მაგონებს? — ბაიდენმა საკუთარი შვილი და ოჯახის წევრები რომ შეიწყალა წინასწარ ისე, რომ საქმე აღძრული არ ყოფილა. ამით მან განაცხადა, რომ ისინი დანაშაულში იქნებიან მხილებული და წინასწარ ვიწყალებო. სააკაშვილის ქმედებაც ზუსტად ამას ჰგავს — ღალატის მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან იმიტომ ამოიღო, რომ უნდოდა, კოდორის ხეობისთვის ზემო აფხაზეთი ეწოდებინა, ზვიად გამსახურდიას მიერ კანონიერად გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი აღედგინა, რომელიც საქართველოში არ უნდა არსებობდეს. მას ამ ოლქის აღდგენა უნდოდა და ამის ნაცვლად, რესპუბლიკა აღადგინა. აი, ეს არის სამშობლოს ღალატი. ასევე, ღალატი ჩაიდინა დავით გარეჯთან მიმართებით. მან განაცხადა: მოვილაპარაკეთ და სტრატეგიული სიმაღლე აზერბაიჯანს უნდა დავუთმოთო. მაინტერესებს, აზერბაიჯანის სასარგებლოდ სტრატეგიული სიმაღლის დათმობა ვის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული — სომხეთის თუ საქართველოს?! ესეც ღალატია. ამიტომ ამ მუხლის აღდგენას მივესალმები.

— სააკაშვილმა ცოტა ხნის წინ დაიჩივლა, მზეთუნახავი ვარ, რა ხანია, მზე არ მინახავსო...

— მსოფლიოში არ მეგულება არცერთი პატიმარი, რომელიც ისეთ კომფორტშია, როგორშიც სააკაშვილი. დღევანდელი ქართული ციხისა და სააკაშვილის დროინდელის შედარებაც არ შეიძლება. თუმცა, ამ ციხეშიც კი არ არის სააკაშვილი. იგი ხან გორის კლინიკაშია, ხან — „ვივამედში“. ქალბატონები მასთან ვიზიტით მიდიან და დაორსულებულები ბრუნდებიან, ეს არის ციხე?! თან მზეთუნახავი ვარო, ამბობს. თუ სააკაშვილი იმსახურებს კლინიკის ლუქსში ყოფნას, რეალურად ავადმყოფმა პატიმრებმა რა დააშავეს?!

— ბატონო სოსო, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები საქართველოს შიდა საქმეებში, მათ შორის, სასამართლო პროცესებში აქტიურად ერევიან. რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მათ მიმართ?

— მათ მიმართ ის ღონისძიებები უნდა გატარდეს, რაც ვენის კონვენციით არის გაწერილი. ელჩმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს და არა ჭკუა გვარიგოს. ვენის კონვენციაში წერია: სახელმწიფოს უფლება აქვს, ის ელჩი, რომელიც სხვა ქვეყნის საქმეში ერევა, დაიბაროს, ჯერ საპროტესტო ნოტა გადასცეს, ხოლო თუ იგივე განმეორდება, პერსონა ნონ გრატად გამოაცხადოს და ქვეყნიდან გააძევოს. ხელისუფლებას ვთავაზობ, ჩვენმა ელჩმა რომელიმე დასავლურ ქვეყანაში იგივე ჩაიდინოს, რასაც აქ ელჩები აკეთებენ: ჩაერიოს მათ საქმეებში, გაარჩიოს, იმ ქვეყნის არჩევნები კანონიერია თუ არა, პატიმრებს პოლიტპატიმრები უწოდოს, მერე დაველოდოთ, რას მოიმოქმედებს ეს ქვეყანა, პრეცედენტი შეიქმნას და შემდეგ, მათ ელჩებს ანალოგიურად მოექცეს.

— ბალტიის ქვეყნებმა სანქციების ახალი პაკეტი დაგვიწესეს. რას ემსახურება მათი გადაწყვეტილება?

— ბალტიისპირეთისთვის დიდი სირცხვილია, პლანეტის სახელოვანი ადამიანის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა ტალახაძის დასანქცირება. ეს სრულიად პლანეტის სირცხვლია. მიზეზი გაუგებარია. რას ნიშნავს ეს სანქციები?! დადგა დრო, როცა ამერიკა რუსეთისთვის სანქციების მოხსნას აპირებს. როცა რუსეთს სანქციებს უხსნი, ამ დროს ტალახაძის დასანქცირება სასაცილოა. ბალტიის ქვეყნებს ჩვენზე სალაპარაკო რა აქვთ, როცა კაია კალასი თავად კორუმპირებულია და რუსებთან ერთად აქვს ბიზნესი. ასევე, ურსულა ფონ დერ ლაიენსაც ბიზნესი რუსეთში აქვს. ორმაგმა სტანდარტებმა განაპირობა ის, რომ ევროკავშირი დაშლის გზას ადგას. ამას ბიძგი მისცა ტრამპმა, რომელმაც ევროკავშირის ჩინოვნიკები უგულებელყო და ევროპის ყველა ქვეყანას ცალ-ცალკე ელაპარაკება. ხელისუფლებამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა კონსტიტუციით განსაზღვრა ჩვენი ევროატლანტიკური არჩევანი. ნატო-ს ან ევროკავშირის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს კონსტიტუციაში არ უნდა ასახულიყო. ნატო, ევროკავშირი შეიძლება დაიშალოს და რა ვქნათ მერე — კონსტიტუცია შევცვალოთ?!

— მალე თვითმმართველობის არჩევნებია. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია მიიღებს მასში მონაწილეობას?

— თუ არ მიიღებს, ეს შესანიშნავი იქნება. თუმცა, ჩემი აზრით, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ. ნაცებმა კი განაცხადეს, არ მივიღებთ მონაწილეობასო, მაგრამ ისინი ერთს ამბობენ, მეორეს აკეთებენ, მესამეს ფიქრობენ. მათ არჩევნების შედეგად დაფინანსება აიღეს. ე. ი. არჩევნებს აღიარებენ.

თამარ შველიძე

რეობაში იმყოფებიან, შუამავლის პირობების განხილვა უნდა მოხდეს. შუამავალი ის ქვეყანაა, რომელიც მათ იმ პირობებს კარნახობს, რაც მშვიდობის დამყარებისთვის არის საჭირო. საბოლოო შედეგის მიღწევა ჭიანურდება. რაც დრო გავა, დაუზავებლობის შემთხვევაში, მხარეები მით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

— ევროპის სურვილი, ომი ერთი წლით გაახანგრძლივონ, ჩვენთვის საფრთხეებს რამდენად ზრდის?

— საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან სწორი პოლიტიკა დაიკავა იმ კუთხით, რომ ქვეყანა ომში არ ჩართო, რუსეთს სანქციები არ დაუწესა, ჰაერში მუშტების ქნევა არ დაიწყო და მშვიდობა, სტაბილურობა შეინარჩუნა. ქვეყანა ცდილობს, ეკონომიკურად გაძლიერდეს — ჩვენი სატრანზიტო და ხიდის ფუნქციები წინ, მაღალ დონეზე წამოსწიოს. ეს კარგია. ბოლო პერიოდში ყველა ისეთ ქვეყანასთან დავამყარეთ ურთიერთობა, საიდანაც პროდუქცია უნდა წამოვიდეს, რომელმაც საქართველოზე უნდა გაიაროს, რათა შემდეგ სხვა ქვეყნებში გავიდეს, რაც ჩვენთვის ეკონომიკურად მომგებიანია. შესაბამისად, ეკონომიკა თუ გაძლიერდება, ქვეყანა პოლიტიკურადაც მდგრადი გახდება. რამდენიმე ასეული ადამიანის ქუჩაში ბოდიალი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებასა და პოლიტიკურ მდგრადობაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს. მათ პოლიტიკური ხარაკირის გაკეთება თავად გადაწყვიტეს.

— ტრამპის დღის წესრიგი მშვიდობაა. ეს ჩვენამდე როდის მოაღწევს, ცვლილებები როდის დაიწყება?

— ცვლილებებში თუ იმას გულისხმობთ, როგორ გავაგრძელოთ ამერიკასთან ურთიერთობა, საქართველოს თავისი სიტყვა ნათქვამი აქვს. ახლა მათზეა დამოკიდებული, როდის გადაწყვეტენ, რომ საქართველოსთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. ჩვენთვის სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდებარეობა არავის წაურთმევია, რის გამოყენებასაც ვცდილობთ ეკონომიკური თუ ეროვნული თვალსაზრისით. რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებს, კარს თვითმმართველობის არჩევნები მოგვადგა. პოლიტიკურმა სპექტრმა მასში მონაწილეობაზე უნდა იფიქროს. საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებულთა შორის არიან პარტიები, რომლებიც თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ და ისეთებიც, რომელთაც ბარიერი გადალახეს და იძახიან, პარლამენტში არ შევალთო. მათი ნებაა, შეუძლიათ, მომდევნო არჩევნებზეც იგივე გააკეთონ. ვინ რჩება ამით მოგებული? ასე მათი ხმაც იკარგება და ამომრჩეველიც. ნელ-ნელა პოლიტიკურ პროცესს თავად გამოეცლებიან. ქუჩა არ არის ის ადგილი, რაც მათ პოლიტიკურ წონას შესძენს. უცხოეთში რომ გარბიან და იქ უცხოელებს სანქციების დაწესებას, უვიზო მიმოსვლის შეჩერებას ეხვეწებიან, აქ ამას სერიოზულად არავინ უყურებს, გარდა ოპოზიციისა და მათი ტელევიზიებისა, რომლებიც იმით ხარობენ, ხელისუფლება დავაზარალეთო. ფაქტია, ვინ არის რეალურად დაზარალებული. სჯობს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ და იქ დადონ შედეგი, თუ შეუძლიათ. მეორეც, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ არჩევნები არ გაყალბებულა, ამის დამადასტურებელი ვერცერთი მტკიცებულება ვერ დადეს. ერთი ის არის, რომ ევროპელებმა არ მოგვილოცეს, თორემ მათგან აღიარება გვაქვს. დავაკვირდეთ, იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც საპარლამენტო არჩევნების ჩატარება არ მოგვილოცეს — ბალტიისპირელებმა, ლიეტუვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, ნებსით თუ უნებლიედ, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის ლეგიტიმურობა აღიარეს. ისინი სხვადასხვა სახის პრეტენზიით თუ მოთხოვნით მიმართავენ ჩვენს ხელისუფლებას, თავიანთ განცხადებაშიც კი პირდაპირ ჩაწერეს: პარლამენტის ესა და ეს წევრები ჩვენთან არ ჩამოვიდნენო. ანუ, ჩვენ ეს ხალხი არ მოგვწონს, მაგრამ ლეგიტიმურები რომ არიან, ფაქტიაო. ამავე ხელისუფლებას (კანონიერს!) სთხოვენ ახალი არჩევნების ჩატარებას და დამნაშავეების ციხიდან გამოშვებას. რა გამოდის, რომ არ ცნობდნენ, არც თხოვნით, არც მოთხოვნით არ მიმართავდნენ, ხომ?! აგერ, 13 ქვეყნის ელჩებმა მიხეილ ყაველაშვილს რწმუნებათა სიგელები გადასცეს. თუ მის ლეგიტიმურობას არ აღიარებენ, სიგელებს ხომ არ გადასცემდნენ?! ასე რომ, ყველამ გვაღიარა, უბრალოდ, ამას ხმამაღლა არ ამბობენ.

ოპოზიცია გაიძახის, არჩევნები უნდა ჩატარდესო. მათ ჩრდილოკორეული აზროვნება აქვთ, — საკუთარი ტელევიზიებით, მიტინგებით ხარობენ და ჰგონიათ, რომ ყველაფერი ისეა, როგორც უნდათ. ამ დროს იციან, რომ არაფერს არ წარმოადგენენ და ამაში დიდი როლი თავადვე ითამაშეს. პირადად მე, სულ არ მეწყინება, თუ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ, — რაც მეტი მავნე პოლიტიკოსი ჩამოშორდება პოლიტიკას, მით უკეთესი. გავიხსენოთ, რამდენი პოლიტიკოსი გაქრა პოლიტიკური ველიდან. ესენიც ასე გაქრებიან. ქუჩაში სირბილი პოლიტიკა არ არის.

— ბოლოს, გვითხარით, რა შედეგებს მოიტანს „ტარიფების ომი“?

— ტრამპს, როგორც აშშ-ის პრეზიდენტს, თავისი ამბიცია, ინტერესები აქვს. იგივე ეხება ჩინეთსაც. ვინ გაიმარჯვებს ამ სატარიფო ბრძოლაში, მომავალი გვიჩვენებს. ყოველთვის ასე ხდება, როცა ამა თუ იმ დიდ ქვეყანაში პოლიტიკური ცენტრი იცვლება. ჩინეთთან თუ სხვა ქვეყნებთან, ბევრ საკითხზე ზეწოლის პოლიტიკა განხორციელდება, ბევრ რამეზე შეთანხმება, დათმობა და, რაც მთავარია, ურთიერთგაგება მოხდება, ოღონდ ისე, რომ ტრამპი იმ ქვეყნებს, ვისთანაც სურვილი აქვს, ურთიერთობა დაალაგოს, არ დააზარალებს. მათ შორის არის ჩინეთი. ორივე ქვეყნის ლიდერი ერთმანეთს გარკვეულ ანგარიშს უწევს. ოღონდ ერთი მხარე მეორეს პირდაპირ არაფერს დაუთმობს. ისინი დიდი სახელმწიფოები არიან, რომლებსაც დიდი ინტერესები აქვთ, მათ დასაცავად და განსახორციელებლად კი დიდი არეალიც გააჩნიათ.

თამარ შველიძე

დაიჯესტი: კვირიდან კვირამდე

ზოგადად, ძალიან საინტერესო ამბები წაეწყო ერთმანეთს, ამდენად, სჯობს, ჩემი საქართველოდან დავიწყო და ცოტ-ცოტა ყველას და ყველაფერს გავკრა კბილი.

ყველაზე გასახარი, რაც გავიგე, ის იყო, რომ ერთი მოსმენით გადაწყდა — „სამშობლოს ღალატის მუხლი" დაუბრუნდება სისხლის სამართლის კოდექსს. მაშასადამე, სამშობლოს ცნებაც დაბრუნდება და უსამშობლოების ნაცვლად, კუთვნილი სახელი დაერქმევა ყველას — სამშობლოს მოღალატეები! ყოველ შემთხვევაში, იმედი ბოლოს კვდება...

ჰოდა, თითქოს კომპიუტერულმა ტექნიკამაც გაიგო და ჩემმა პერსონალურმა კომპიუტერმა შემახსენა 2018 წლის 3 მარტის „ახალი ამბავი": ე. წ. სამხრეთ ოსეთის გენერალურმა პროკურატურამ, ოსი ხალხის გენოციდის ბრალდებით, ძებნილად გამოაცხადა სააკაშვილი, მერაბიშვილი და ოქრუაშვილიო. სიაში სულ 76 კაცია, რომლებიც სამხედრო დანაშაულის ჩადენაში არიან ეჭვმიტანილებიო. ნეტავ, რატომ „აბრალებდნენ"?

მე ისიც ვერ გავიგე — რანაირად დატოვა საქართველოს საზღვრები უსაბუთოდ გიორგი ბაჩიაშვილმაო, რატომ უკვირდათ. ხომ გაირკვა, რანაირადაც, ვანო მერაბიშვილივით მეორე პასპორტი კიდევ რამდენ გასაქცევს აქვს, შეამოწმა ვინმემ? გარკვეულ თანხად კი ყოველთვის არსებობს „სხვა გზები"... ახლა ის არის საკითხავი, მოლიპულ გზას დაადგა თუ ხავედროვანს, მანამდე კი იმუქრება, ბიძინა ივანიშვილის მამხილებელი კომპრომატები სხვადასხვა ადგილზე მაქვს შენახული და საიმედოდ არის დაცულიო. მე მხოლოდ ის მიკვირს, არ იცოდნენ, რომ გაიქცეოდა? — აბა, მე რატომ ვიცოდი? მაშასადამე, საშუალება მისცეს, რომ გაქცეულიყო, დანარჩენი, გამოჩნდება.

ახლა ის მაქვს საფიქრალი, ტრამპმა ხელი რომ მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას და კონგრესს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ ბრძანების კანონად ქცევას — იმ პირთა სიკვდილით დასჯას, ვინც პოლიციელს მოკლავს, ნეტავ, რა ჭკუაზე არიან მზია სააკაშვილზე თუ მიშა ამაღლობელზე დადარდიანებულები, ან ის შუშურიკა ქალი რას ფიქრობს, პოლიციელების ცოცხლად დამწველის შემწყალებელი და ბრბო, ფიზიკური ზიანი მიაყენეს პოლიციელებს...

„ოცნება" რომ რაღაცას შრაშუნობს, ვხედავთ, მაგრამ სასურველი ფხა მაინც ვერა და ვერ გამოიღო...

ნეტა, ის ამბავი როგორ დამთავრდა, ნანული ჟორჟოლიანი ქუთაისის ოფროუდ ფედერაციამ რომ ამხილა თაღლითურად ფულის ჩარიცხვებში? გადარეულები იყვნენ ფედერაციის წევრები, დღემდე შეგნებულად არ აგვიღია კაპიკი არავისგან, ჩვენი ხარჯებით ვაკეთებდით ხალხისთვის სიკეთეს და ჩვენი ფოტოც დაუკითხავად აიღო მაგ ნანულამო.

რა ვიცი, პრემიერად თუ არა, ფინანსთა მინისტრად მაინც დავნიშნოთო, თავისიანები ეკაიფებოდნენ, ცალკე ემიგრანტებისგან ფულის „გაიმასქნების" და ცალკე ტვინარეული ხალხის ფულების „გაიმასქნების" ნიჭის გამო და — ყოჩაღ, ნანულ, იმათ ეგრე მოუხდებათ, მაგრამ ოფროუდთან მაგრად შეეშალა...

გავიხედე და, ანა დოლიძემ სალომე სამადაშვილი ჩაჩექმაო, — ნეტავ მართლა? კახა კალაძისა და ლაშა ტალახაძის გვერდიგვერდ დადებული ფოტოები შემომხვდა. ვიფიქრე, რა ასპექტში დააწყვილესმეთქი? თურმე, კახასთვის უკრაინის სართაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება ჩამოურთმევიათ, ლაშა ტალახაძე კი ბალტიისპირეთის მიერ „გამოწერილ" სანქციებში მოხვედრილა.

დანაშაულის გამოსასყიდად გავუშვათ უკრაინაში საომრად „ძაან შიგევროპელი" „სლავა უკრაინები", რატომ ვაჭიანურებთ ამ საშურ საქმეს? „რომანწიკული" ბომბების წვიმაც ექნებათ და რაკეტების კრუასანებიც. დაგვიბრუნდებიან მერე გმირ ნინო ლომჯარიებიად, გმირთაგმირ ელისაშვილებად, უგულავებად, ნაგულავებად და საგულავებად...

გველის დანასუნთქი გლახაკი ზელენსკი! ომი მაქვს უკრაინაში, „კოსტუმების" შესარჩევად არ მცალიაო და კალაძისთვის მოიცალა?

ამ ჩვენს სამშობლოს მოღალატეებს ამერიკის მზე რომ ზღვაში ჩაუვარდათ და „გველაშაპმა" ტრამპმა გადაუყლაპა, ბრიტანეთსა და ბალტიისპირეთის ფეიკ-სახელმწიფოებს მიაშურეს. ეგ ბატიტვინაშვილები!.. ეგენი უკვე ევროკავშირშიც არიან და ნატო-შიც... მათი ამბავი რომ ვიცი, გრძელი ჭოგრიტიც ექნებათ და რიგრიგობით ზვერავენ რუსეთთან საზღვარს, ეგებ, ძია ჰელენ ხოშტარია დავლანდოთ სადმეო... ყველაფერი გამიგია, მაგრამ სამშობლოს ღალატი ადამიანებს ეამაყებოდეთ და სამშობლო სძულდეთ თავისი ხალხიანად, ამის მსგავსი არ მსმენია...

ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტი 2022 წლის 4 მარტს რომ ამბობდა, რა მოხდება, ქართველებმა ახლა რომ გადაწყვიტონ, რომ კარგი დროა და შეხედონ რუსების მიერ ოკუპირებულ მათ ტერიტორიებსო, იმის მერე უყურებენ და ისე დაუავადდათ ბოლმით საქართველოს თვალთვალში თვალები, რომ საქართველო შეიძულეს. მე რაღა დავუმატო იმაზე მეტი, რაც კადიროვმა თქვა და მასხრად აიგდო ესტონეთის „უძლეველი არმადა-არმია"...

„ხელი მოვაწერე ბრძანებას, რომლითაც ესტონეთი საქართველოს 55 მოქალაქეს, მათ შორის, პროკურორებს, მოსამართლეებს, პოლიციელებს, დეპუტატებს და სხვა პირებს ქვეყანაში შემოსვლას უკრძალავს", — განაცხადა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგუსმა. საერთო ჯამში, საქართველოს 83 მოქალაქე ვეღარ იხილავს ესტონეთის მზეს-ო.

ამ ფონზე, ესტონელმა ალექსანდრ ბუზინმა საქართველოსადმი პატივისცემის ნიშნად ანტარქტიდაზე ქართული დროშა ააფრიალა — ამას ნამდვილად აღარ ჩაესვლება ესტონეთში...

ჰოო, მძიმე დღე დასდგომია იმ 83 ქართველს, ნეტავ, როგორ გაძლებენ ესტონური რაიმის (ესტონური ნაციონალური სასმელი) უჭმელად? მოუწევთ ტარტუმდე გვირაბის საიდუმლოდ გათხრა, — ტალინი სახიფათოა. გათხარონ, მაგრამ ის ვერ გავიგე, კონკრეტულად ლაშა ტალახაძემ, ირაკლი ზარქუამ, ვიქტორ სანიკიძემ, ბექა ოდიშარიამ და გელა სამხარაულმა რა დაუშავეს ესტონეთს, ტარტუს ხელშეკრულება დაუხიეს? ის ხომ საერთოდ ვერ გავიგე, ამ ხალხს კონსტანტინე მორგოშია და ზურაბ მახარაძე რატომლა დააყოლეს ზემოდან, ერთნაირი რუსეთუმეები ხართ თქვენო, თუ რა ხდება?

„რუსეთუმეობაზეა" თუ არის საქმე მიმდგარი, მასე ტრამპიც „რუსეთუმეობაშია" ეჭვმიტანილი და საქართველოს 1 200 000 მოქალაქეც. მოკლედ, ამ ბალტიისპირელებს მაგრად სძმარავთ, ტაიგის დათვის თათი ეზმანებათ თავზე და საქართველოსღა კბენენ უადგილო ადგილზე... ნეტავ, ესტონელებმა თუ იციან, ზღმარტლი რა არის და როგორ იჭმევა?..

ეს ტრამპიც რა ოხუნჯი ვინმეა, თავის პირად გვერდზე ამერიკელებისთვის მიუმართავს შეკითხვით „ვის ენდობით, რომ უკრაინაში ომის დასრულება სურს"?

პასუხები ასე დალაგდა:

ზელენსკი — 8%;

პუტინი — 70%;

სხვა — 22%.

მაშასადამე, რაო, ვის უნდა მშვიდობა და ვის უნდა ომიო?

მახსრად ასაგდებად გაიხადეს თავი და ხალხიც ერთობა. ფოტოს და ტექსტს რომ დავხედე, გულიანად გამეცინა, — გავრცელებული ინფორმაციით, ისინი, ვინც ტრამპის „გამოკითხვაში" მიიღო მონაწილეობა, მრავალი წლის განმავლობაში ჰოლივუდში და სპორტის სფეროში მუშაობდნენ. ჩხრეკისას მათ აღმოუჩინეს რუსული პასპორტები, ვლადიმირ პუტინის სურათები და დიდი რაოდენობის თანხა რუბლებში. დაკავებულები არიან: ჯეკი ჩანი (იაკობ ჩანაევი), სილვესტერ სტალონე (საველი სტოლიაროვი), ჯეისონ სტეტჰემი (ევგენი სტეპანოვი), ვინ დიზელი (ვიტალი დეგტიაროვი), ბრიუს უილისი (ბორის სმირნოვი) და მაიკ ტაისონი (მატვეი ტიხონოვი). დაკავებულებს 3-თვიანი პატიმრობა შეეფარდათ, გამოძიება მიმდინარეობსო.

ესეც კარგია: „გეყოფათ ჩინეთის დადანაშაულება, თითქოს ის რუსეთს ეხმარება, მაგრამ თუ ჩინეთმა ეს გადაწყვიტა, თვით ღმერთიც ვერ გიშველით. უკრაინას ეხმარება თითქმის მთელი მსოფლიო და თუ ჩვენ დავინახეთ მესამე მსოფლიო ომის საშიშროება, ჩვენ აუცილებლად დავეხმარებით რუსეთს. მანამდე კი მოდუნდით და დატკბით იმის ხილვით, როგორ ამარცხებს რუსეთი 50 ქვეყანას", — სი ძინპინიო.

დიუსელდორფში კი სატვირთო ავტმობილი ჩამოატარეს, რომელზეც ტრამპის, პუტინისა და სი ძინპინის თოჯინები იყვნენ გაშიშვლებულები ვებერთელა სათესლე პარკებით. ვერ გავიგე, გაცვედანებულ ევროპაში ამ სამეულს დასცინოდნენ, თუ, მელას რაც ენატრებოდა, ის ესიზმრებოდაო...

ეს რა გავიგე — დაფინანსებული მიტინგები აშშ-ში 4 საათით 100 დოლარი (+20 დოლარი საკვებისთვის) ღირებულა, მიტინგის წინამძღოლობა კი — 200 დოლარი. რას ჩამოვმჯდარვარ აქ და ვწერ, წადი, შვილოსა, ან მიტინგს უხელმძღვანელე, ან ისე იდექი იმ მიტინგებზე, ეგეც ხეირია...

მოვიხედე და ისედაც 6 მარტამდე დასჯილი 5 მარტს ისევ დამსაჯეს, ტრამპის საგანგებო დავალებათა დესპანის, რიჩარდ გრენელის ინფორმაციას რატომ აზიარებ, ტყუილია ეგო.

ბიჯო, ის გრენელი დასაჯონ, ჩემგან რა უნდათ?

კაცი ამბობს, ობამას გუნდმა, მათ შორის ენტონი ბლინკენმა, ვიქტორია ნულანდმა, სიუზან რაისმა (მაღალი რანგის დიპლომატი) და ალექსანდრე ვინდმანმა (თადარიგის სამხედრო ოფიცერი) ურჩიეს ზელენსკის, რომ უარი ეთქვა ტრამპის შეთანხმებაზე ლოგანის აქტის დარღვევითო. ლოგანის აქტი უკრძალავს აშშ-ის მოქალაქეებს, ჩაერთონ გარკვეულ კომუნიკაციებში უცხო ქვეყნების მთავრობებთან აშშ-ის ხელისუფლების უფლებამოსილების გარეშე და ამ ხალხთან და ამ აქტთან მე რა შუაში ვარ საერთოდ? აა, არ უნდა გამევრცელებინა ეს ამბავი? გენაცვათ, 2014 წელს აბა, მე ვარიგებდი ვიქტორია ნულანდის ნაცვლად, უკრაინაში ფუნთუშებს?

გამოძიების ფედერალური ბიუროს (ეფ-ბი-აი) დირექტორი კას პატელი თავისას ზუზუნებს, უკვე მივმართე კონგრესს, რომ გამოიძიონ, სად წავიდა ასობით მილიარდი დოლარი, რომელიც უკრაინას გავუგზავნეთ, ის ფული ამერიკელი ხალხისაა, ხოლო უკრაინა კორუფციისა და ფულის გათეთრების ადგილიაო. კაი, კაცო!..

ჟურნალისტი ტაკერ კარლსონი მთლად გასაკავებელი გახდა, — რა, ლინდსი გრემმა მამლის ყივილამდე სამჯერ რომ უარჰყო მისი ღვთაება,

ზელენსკი, არაფერი იცის, რა ხდება? ეგენი ძველი მეგობრები არიან და კარგად იცის, რომ დასავლელი მეგობრების ჩუმი მხარდაჭერით, ზელენსკის მთავრობამ არაერთი სერიოზული დანაშაული ჩაიდინა. უკრაინელებმა დიდი რაოდენობით ამერიკული იარაღი საერთაშორისო „შავ ბაზარზე“ გაყიდეს და ახლა ეს იარაღი შეიარაღებული დაჯგუფებების ხელშია, რომელთა შორის არიან „ჰამასი“, მექსიკის ნარკოკარტელები და ის ძალები, რომლებიც ახლა სირიას აკონტროლებენო.

ეს კიდევ რა არის, ღმერთმა უწყის, რა გაუკეთეს თავიანთ ქვეყანაში ამერიკულ ბიოლაბორატორიებში არსებულ პათოგენებს, ეს აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოებმაც კი არ იციანო.

მე კიდევ ის მაინტერესებს, ტრამპმა რომ თქვა, ეჭვი მაქვს, ისინი, თვით კონგრესმენ გრინის გაძევებაც კი მოუხდათ ყველას რა ჩამოთვლის, ამიტომ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რაც მომეწონა: ყველა საერთაშორისო დახმარებას გავყინავო; უსამართლო და კორუმპირებული ჯანმო-დან და „პარიზის კლიმატის შეთანხმებიდან“ გავდივარო; აშშ აღარ იქნება გენდერული მრავალფეროვნებისთვის ღიაო; მიგრანტების გულაობა მორჩაო; ნარკოგულავიცო; მემარცხენე იდეების პოპულარიზაციაში ფულის ფლანგვაცო; სქესის შეცვლაზე ხომ საერთოდაცო და მთლიანობაში, — ყველა იდიოტობა, რაც ბაიდენმა ნორმად გამოაცხადა, არანორმალურად გამოცხადდა.

ტრამპმა ბრძანა, ფედერალური დაფინანსება შეუწყდეს ნებისმიერ კოლეჯს, სკოლას თუ უნივერსიტეტს, რომელიც უკანონო პროგრამებს დაუშვებსო. აგიტატორები დაპატიმრებული იქნებიან, ან/და სამუდამოდ გაძევდებიან იმ ქვეყანაში, საიდანაც ჩამოვიდნენო. ხოლო, ამერიკელ სტუდენტებს სამუდამოდ დაითხოვენ, ან დანაშაულის სიმძიმის მიხედვით დააპატიმრებენო. და კიდევ, არანაირი ნიღბებიო!



თვითმფრინავებიდან ჰაერში რაღაცის გაფრქვევა უნდა იყოს ბავშვებში აუტიზმით დაავადებულთა რაოდენობის მატების მიზეზიო, — ჩვენთანაც რომ აფრქვევენ, ნაკლები შედეგი გვაქვს იმავე მიმართულებით?

უკრაინელებმა, ასევე, პოლიტიკური მოტივებით გაანადგურეს რამდენიმე ადამიანი სხვადასხვა ქვეყანაში და სცადეს სხვების ლიკვიდაციაც, მათ შორის, ამერიკელი ჟურნალისტისა და ევროპული სახელმწიფოს მეთაურისაო. ეს ყველაფერი სიმართლეა და გამომზეურდება, ამიტომ სჯობს, ახლავე დავიწყოთ ზელენსკისთვის ბრალის წაყენებაო.

ტრამპმა ისეთები განაცხადა კონგრესში, რომ მთლად გადარია ლიბერასტები და არა მხოლოდ ვებელი კავშირია, ჩვენც ვიცით; და საერთოდ, ყველაფერი ვიცით, რა როგორი სახის ხორცმეტია, მაგრამ ამ ჩვენი ხელისუფლების „ბალერინობამ“ მართლა გააჭირა უკვე საქმე, თითქოს პოლიტიკის გარდა, ამქვეყნად მოსაწერიგებელი აღარაფერი დარჩა...

ჰოლანდიელმა პირმშვენიერმა ჟურნალისტმა ევა ვლაარდინგერბრიკმა თქვა, ჩვენ გვმართავენ სულელები. ისინი ომზე აბოდებენ და მშვიდობას ზურგს აქცევენ. ევროკრატები მალე დაიწყებენ ჩვენი შვილების ფრონტზე გაგზავნისკენ მოწოდებას, რადგან დღეს ევროპას მართავენ სულელებიო და ასე აგიხდეთ ყველაფერი კაი!

ჯორჯა მელონი, საფრანგეთისა და ბრიტანეთის წინადადებაზე, უკრაინაში ჯარების გაგზავნის შესახებ გამოეთქო, თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ, მაგრამ ჩემი ჯარისკაცების გარეშეო.

იმაზე გამეცინა, არგენტინის პრეზიდენტმა ზელენსკისთან გადაღებული ყველა ფოტო რომ წაშალა და ჯორჯა მელონიმაც მიბაძა, აქ კი ჩვენმა „ვივამედელმა“ მზეთუნახავმაც სასწრაფოდ ჩამოხსნა კედლიდან საფიცარი ზელენსკის სურათი.

ვენსმა მთლად გააოგნა სამშვიდობო ხელშეკრულების მოწინააღმდეგე მომიტინგეები, მობრძანდით აგერ და ჩაეწერეთ უკრაინაში მებრძოლთა რიგებშიო. მოიცა, კაცო, ერთიო მიაძახეს და უკანმოუხედავად მოძუძგეს.

უკრაინის ომი რომ დაიწყო, არესტოვიჩის სიყვარულით მე მომიძულეს და ახლა უსმინონ ყურებდაქცვეტილებმა, რას ამბობს ჩემგან განსხვავებულს. ოლექსი არესტესტოვიჩი: „რისთვის გრძელდება ეს იდიოტური, უაზრო ომი? ეს არის ომი, რომელიც ანადგურებს უკრაინულ არმიას, რომელიც ანადგურებს უკრაინელ ხალხს და ეს დაწყვეტილი ნაბიჯვარი ზის და თავის ძალაუფლებას ებღაუჭება“.

არ ყოფილა ცუდი კაცი ჟან-კლოდ იუნკერი, რომელმაც ჯერ კიდევ „უხსოვარ“ დროს თქვა, კორუმპირებული უკრაინა ევროკავშირში გასაწევრიანებლად მზად არ არის, ტანჯვაში ჩაფლულ უკრაინელ ხალხს ცრუ დაპირებები არ უნდა მივცეთო... არადა, მიბაძეთ უკრაინას და მოლდოვასო, — დაგვჩხაოდნენ თავზე...

„ბატკა“ რომ არ გავიხსენო, მარილი დააკლდება ამ ამბავს: ლუკაშენკოს ჰკითხეს, რამდენი წელი დასჭირდება უკრაინის ფეხზე დადგომასო? ლუკაშენკომ შეიცხადა: რა წლები! — სამი დღე საკმარისია. პირველ დღეს „რადას“ ყველა დეპუტატი უნდა დაიხვრიტოს, ერთი დღის შემდეგ ყველა, ვინც მათ გასვენებაზე მივა და მორჩენილია საქმე, წამოდგება ფეხზე უკრაინაო.

მცირე ჩამონათვალიაო და რომ ჩამოთვალა ტრამპმა, რაში იხარჯებოდა მილიარდები ლიბერალიზმის სახელით, ამერიკელებს ვინ ჩივის, მე ჩამომიყარდა ყბა...

გლობალისტების „ლა მონდი“ გაცოფდა, — ძალაუფლებით მთვრალი უძრავი ქონების ბებერი საქმოსანი, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტი გახდა და მისი შემტევი ქოფაკი, არალიბერალი და სასტიკი ვენსი მიძინებულ ევროპას აღვიძებენო.

შოუმენია თუ რაც არის, აღარ მაინტერესებს, გულს კი მფხანს ტრამპი და... — ნაკლები დრო დავხარჯოთ პუტინზე წუხილში და მეტი დრო ვიფიქროთ მიგრანტ გამაუპატიურებელთა ბანდებზე, ნარკობარონებზე, მკვლელებზე და ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან ჩვენს ქვეყანაში შემოსულ ხალხზე, რათა არ დავემსგავსოთ ევროპასო, — ჯიგარი ხარ, ტრამპი ბიძია!

ტრამპის ამ ნათქვამზე ჩვენი „ვივამედელი“ საწოლის ქვეშ დაიმალა, უდროო დროს მე არ გავახსენდეო. მართებული შიშია. იმას თუ ამბობდა, რომ საპრეზიდენტო პოსტზე კონკურენტად ჩვენი შერეკილი მიაჩნდა, იქნებ, გახსენებოდა კიდეც...

2025 წელს უკრაინა 25 მლრდ ევროს მიიღებსო, გადაწყვიტეს ევროპაში, მაგრამ ვერ გავიგე, სესხად აძლევენ, თუ ჩუქნიან. მე რაში მენაღვლება, ზელენსკის — მით უმეტეს. მთავარი ფულია, ბაბია, ფული, მაგრამ პუტინი ძია ამბობს, ეტყობა, ჯერ კიდევ არიან ისეთები, ვისაც ნაპოლეონის დროში უნდა დაბრუნება... და ავიწყდებათ, როგორ დასრულდა ეს ამბავიო. მაკრონს ათამაშებული უფრო აუთამაშდა თუ გაუშეშდა, მაგდენი აღარ ვიცი, მაგრამ პუტინმა ორ დღეში რომ დაამარცხა მსოფლიოში კოვიდ-19-ის ცრუ პანდემია, კარგად მახსოვს...

ისიც კარგად მახსოვს, 2022 წელს, სარვამარტოდ არამეგობრული ქვეყნების სიიდან საქართველო რომ ამოიღო და „ნაცები“ და მისთანები ხორცებს კბილით იგლეჯდნენ, რატომ ამოგვიღოო. საქართველოს მტრებს საქართველოში მშვიდობა ისე აგიჟებთ დღემდე, რომ პუტინი მხოლოდ იმის გამო სძულთ, საქართველოს წინააღმდეგ უმიზეზოდ რომ არ იწყებს ომს...

ეტყობა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა და პუტინის სულიერად განადგურება გადაწყვიტეს. რა ვიცი, უსულოა და...

მოკლედ, პუტინის სულიერ მოძღვარად ცნობილ მეუფე ტიხონს უკრაინის სპეცსამსახურებმა სიკვდილი გადაუწყვიტეს. დააკავეს ეჭვმიტანილები, მიტროპოლიტის თანაშემწე და ქრისტეს აღდგომის ტაძრის მღვდელი, რომლებმაც უკვე აღიარეს ბრალი. „ფსბ“-ის მონაცემებით, დაკავებულები 2024 წლის შუა პერიოდში უკრაინის „გურ“-მა გადაიბირა.

ილონ მასკმა ბევრი იფიქრა, აწონ-დაწონა ყველაფერი და ტრამპს ურჩია, დროა აშშ-მა დატოვოს ნატო და გაერო-ო.

გაერო-ს გენმდივანმა ანტონიო გუტერეშმა მანამდე მოიფიქრა, თუ მასკს აედევნა აზრებში, არ ვიცი, მაგრამ კი წამოილუღლუღა, გაერო აჩერებს ფინანსურ დახმარებას უკრაინის ზოგიერთი რეგიონისთვისო. იმ „შავი კაცისა“ არ იყოს, ნეტავ, „ზოგიერთები“ რომელი რაიონებია?

ტრამპი კიდევ იმას ფიქრობს, ყველაფერი გავიგე, მაგრამ თეთრი სახლის დასავლეთის ფრთის შესასვლელთან არსებულ სამალავში, ნეტავ, კოკაინის პაკეტი რომელმა შეინახა, სულელმა ჯომ, თუ — ჰანტერმაო?

რიჩარდ გრენელმა მარტივად მოჭრა, „ამერიკის ხმის“ თანამშრომლები აშშ-ის მთავრობის თანამშრომლები არიან, რომლებსაც გადასახადის გადამხდელები აფინანსებენ. ამიტომ, თუ მათ პრეზიდენტის ოფიციალური პოლიტიკის გატარება არ შეუძლიათ, სამსახური სხვაგან უნდა ეძებონო.

ამასობაში, თეთრი სახლის ვებსაიტიდან გაქრა გვერდი „აშშ-სა და უკრაინას შორის უსაფრთხოების 10-წლიანი შეთანხმების შესახებ“, — დოკუმენტს კონგრესის მიერ რატიფიცირება არ დასჭირდა და ბაიდენმა მას 2024 წლის ივნისში მოაწერა ხელი. შეთანხმებაში გაწერილი წესების მიხედვით, ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმება შესაძლებელი იყო. ჰოდა, აი, გაუქმდა კიდეც...

მოკლედ, რა ძვრებია აშშ-ში, ვერაფერს გაიგებ, მგონი, ინდიელების წყევლამ უწიათ..

ზურა ოშხრელი

რუსთაველზე „მიცვალებულთა მარშიღა“ გვაკლია...

ჩვენს მეგობარს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და ავტორს, ცნობილ პუბლიცისტს, ჩვენი ქვეყნის ქომაგსა და სამართლიანობისთვის ბრძოლაში დამაშვრალ მამულიშვილს, შესანიშნავ პიროვნებას, მომავალი თაობების ღირსეულ აღმზრდელს, პროფესორ ომარ გოცაძეს 80 წელიწადი შეუსრულდა. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ხანგრძლივ ნაყოფიერ მოღვაწეობას მის რთულ და საპატიო პროფესიულ საქმიანობაში და ბედნიერებას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

აქვე გთავაზობთ მის ინტერვიუს „საერთო გაზეთთან“.

— ბატონო ომარ, დასავლეთის მარწუხებიდან ნელ-ნელა გამოვდივართ. თუმცა, როგორც ჩანს, საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მაინც გაუგებარია, რატომ იქცეოდა „ქართული ოცნება“ მორჩილად, ან ახლა მაინც რატომ არ მიმართავს „რკინის ხელს“.

— რაც საქართველოსთან დაკავშირებით ხდებოდა და ხდება, ამას უკვე სახელიც აღარ აქვს. თუ აქამდე, ჩვენი ძვირფასი დასავლელი სტრატეგიული მოკავშირეები, თავიანთ მზაკვრულ მიზნებს შეფარვით, დემოკრატიის ნიღბის ქვეშ ახორციელებდნენ, ახლა ეს ნიღაბიც ბოლომდე ჩამოიხსნეს, — თუ ამას დემოკრატია ჰქვია, ასეთი არც დემოკრატია მინდა და არც მისი გამტარებელი ქვეყანა.

ქვეყანაში არსებული დღევანდელი დაძაბული სიტუაცია და დასავლეთთან არცთუ კეთილგანწყობილი ურთიერთობა მყისიერად არ ჩამოყალიბებულა. ამას სერიოზული წანამძღვრები ჰქონდა, რომელიც საქართველოს წინაადმდეგ წლების განმავლობაში მზადდებოდა. ყოველივე ამას განსაკუთრებული ნოყიერი ნიადაგი, სააკაშვილის მმართველობისა და კოჰაბიტაციის პერიოდში შეექმნა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველო, ფაქტობრივად, დასავლეთის ვასალად და მათი რეკომენდაციების, უფრო სწორად, მათი „დიქტატის“ უსიტყვო შემსრულებელ ქვეყნად იყო გადაქცეული.

დასავლეთის ზეწოლას ვერც „ქართულმა ოცნებამ“ გაუძლო და მათი მოთხოვნით ქართველი ხალხისათვის მიუღებელი რამდენიმე კანონიც მიიღო.

როგორც კი ხელისუფლებამ ქვეყნისა და ხალხის ინტერესების გამომხატველი ღონისძიებების გატარება საკანონმდებლო დონეზე დაიწყო, ამან დასავლეთის დიდი გულისწყრომა და რუსოფილობაში ჩვენი დადანაშაულება გამოიწვია. ძირითადი მიზეზი დასავლეთთან ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებისა ის გახდა, რომ მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რეკომენდაციაზე, 2022 წელს რუსეთისათვის სანქციების დაწესებასა და მეორე ფრონტის გახსნაზე, ანუ ქვეყნის გაპარტახებასა და ქართველი საჯიშე ბიჭების „საზარბაზნე ხორცად“ გამოყენებაზე, საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა, რითიც ქვეყანა უკრაინიზაციას, ხოლო ქართული გენოფონდი — განადგურებას გადაარჩინა. აი, ძირითადი მიზეზი მათი გაღიზიანებისა და დიდი გულისწყრომისა!

ხელისუფლებამ და პირადად ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მიიღო ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, არ აჰყვა ავანტიურას და რუსეთის წინააღმდეგ ქვეყანა ომში არ ჩართო. ამ მეტად სარისკო და სახიფათო გადაწყვეტილებით, მთელი თავისი ქონება, საკუთარი თავი და ოჯახის წევრები, არა მარტო ხიფათის, არამედ ფიზიკური განადგურების საფრთხის ქვეშ დააყენა, მაგრამ ხალხისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღო ასეთი გონივრული, მაგრამ სიცოცხლისათვის ფრიად საშიში გადაწყვეტილება. სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველო დღეს ომის პოლიგონად არ არის გადაქცეული, ხალხი კი მეორე მარიუპოლს, დონბასსა და გაპარტახება-გაჩანაგებას გადაურჩა. თუ ვინმეს ჰგონია, რუსეთი ისეთივე ლმობიერად მოგვექცეოდა და დაგვინდობდა, როგორც ეს 2008 წელს გააკეთა, ძალიან ცდება. იმის ნაცვლად, რომ იმ კაცის მადლობლები იყვნენ, რომელმაც თავისი სიცოცხლის რისკის ფასად ქვეყანა ამხელა უბედურებას გადაარჩინა, დასავლეთის მიერ მოსყიდული ქვეყნის გამყიდველი მეხუთე კოლონის წარმომადგენლები ყველაზე მეტად მას ლანძღავენ. მოკლედ, უმადურობას საზღვარი არ აქვს.

დასავლეთისათვის ეს იყო წითელი ხაზი, რომელიც ბატონმა ბიძინამ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე გადაკვეთა და რომელსაც არაფრით გვპატიობენ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“. აქედან დაიწყო ჩვენი ხელისუფლების არასანდო პარტნიორად მიჩნევა და თავიანთი ინტერესების გამტარებელი ხელისუფლებით მისი შეცვლის მცდელობები, რის საბაბადაც პირველ ეტაპზე გამჭირვალობის კანონის მიღება გამოიყენეს. ამ დღიდან დასავლეთი ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირიდან“, ფაქტობრივად, ჩვენი ხელისუფლების მტრად გადაიქცა და მისი თავიდან მოშორების მცდელობები ინტენსიურად დაიწყო.

— ეგრეთ წოდებულ ოპოზიციას არჩევნებზე გამარჯვების იმედიც არ ჰქონდა, თუმცა, თავიანთი დამარცხება „დიდი საქმის“ წამოწყების მიზეზად სჭირდებოდათ...

— ასეა. ჩვენს „დასავლელ მეგობრებს“ მიზნის მისაღწევად ყველა არგუმენტი რომ შემოელიათ, მათი ერთადერთი ხსნა მოახლოებული არჩევნები იყო და მთელ იმედებს მასზე ამყარებდნენ. ამ მიმართულებით თავიდანვე ისეთი კამპანია გააჩაღეს ჯერ კიდევ არჩატარებული არჩევნების საწინააღმდეგოდ, რომ მაშინვე სრულიად გასაგები და ნათელი გახდა მათი პოზიცია. როგორი წესიერი, დემოკრატიული და სანიმუშო არჩევნებიც უნდა ჩაეტარებინა ხელისუფლებას, მათი გამარჯვების შემთხვევაში, დასავლეთის მხრიდან ეს მაინც დიქტატორულ და არადემოკრატიულ არჩევნებად იქნებოდა მიჩნეული და მას არაფრით არ აღიარებდნენ. არჩევნებს დასავლეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებდა, თუ ოპოზიცია გაიმარჯვებდა.

როგორც ჩანს, ოპოზიცია დარწმუნდა, რომ ყურით მოთრეულმა მათმა „არგუმენტებმა“ არ გაამართლა, ქართველ ხალხი არ წამოეგო ამ პროვოკაციულ ანკესზე და სხვა, უფრო ხელჩასაჭიდი ფაქტების მოძიება გადაწყვიტეს და საბაბად 28 ნოემბერს ბატონი ირაკლი კობახიძის გამოსვლა შეარჩიეს, სადაც იგი სრულიად სამართლიანად აკრიტიკებდა დასავლეთს საქართველოსადმი ტენდენციური და უსამართლო დამოკიდებულების გამო, ამიტომ, 2028 წლამდე ევროკავშირთან მოლაპარაკების დაწყების პროცესს ვაჩერებო. ამას მოჰყვა ოპოზიციის აღშფოთება, მომიტინგეების ხელახლა შეკრება და საპროტესტო აქციები.

— „ფერადი რევოლუციები“ არახალია და რაგინდ რაიმე საფუძველი ჰქონოდა, მაინც ყოველთვის აშშ იდგა მათ უკან. მართალია, გონიერ საზოგადოებაში ეს „ილეთები“ არ გაუვიდათ, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა...

— დიახ! განვითარებული ქვეყნებიდან ფერადი რევოლუცია პირველად 1969 წელს საფრანგეთში მოაწყვეს, როცა საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი ამერიკის წინააღმდეგ წავიდა და მათ ინტერესებს შეეხო. მან ფულად საკრედიტო სისტემის გაჯანსაღებისათვის, თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების გამომხატველი გადაწყვეტილება მიიღო, რაც იმაში გამოიხატა, რომ ამერიკას, საფრანგეთის ბანკებში არსებული დოლარების სანაცვლოდ, ამ დოლარებში განივთებული ოქრო მოსთხოვა. ამან ამერიკის ხელისუფლებაში დიდი პანიკა გამოიწვია. იმით შეშინებულები, სხვა ქვეყნებმაც ამათ არ მიბაძონ, დოლარის ნაცვლად მათაც ოქრო არ მოითხოვონ და ქვეყანა გარდაუვალი გაკოტრებისაგან ვიხსნათო, საქმეში სასწრაფოდ ჩაერთო „ცრუ“. მსუყედ დააფინანსეს საფრანგეთის არასამთავრობო ორგანიზაციები, ანუ ქვეყანაში არსებული ე. წ. მეხუთე კოლონა. მათი საშუალებით პარიზში საპროტესტო აქციები გამართეს, მიტინგები მოაწყვეს და ხალხი დე გოლის წინააღმდეგ აამხედრეს.

დე გოლის წინააღმდეგ გამართულ აქციებში სოლიდური ადგილი სტუდენტობამ დაიკავა. თავისი ხალხის ასეთი უმადურობისაგან შეურაცხყოფილი დე გოლი, რომელმაც მთელი თავისი ძალა და ენერგია მათ კეთილდღეობასა და ქვეყნის გაძლიერებას მოახმარა, ისე აღშფოთდა, რომ მაშინვე გადადგა.

ახალ პრეზიდენტ პომპიდუს, აღარც ოქრო მოუთხოვია ამერიკისაგან და ინგლისის ევროკავშირში მიღებაზეც ვეტო აღარ დაუდია...

რაც შეეხება ჩინეთში 1989 წელს მოწყობილ ფერად რევოლუციას, აქ, ამერიკის მცდელობა ფერადი რევოლუციით ხელისუფლების შეცვლის თაობაზე სამარცხვინო კრახით დამთავრდა. თითქმის ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა ხელისუფლების მხრიდან პეკინში მსოფლიოს ყველაზე დიდ, ტიანანმენის მოედანზე შეკრებილ ასეულ ათასობით მომიტინგეებისადმი თხოვნა, დაშლილიყვნენ. მომიტინგეთა უმრავლესობას სტუდენტები შეადგენდნენ და ყველაზე მეტად ისინი აქტიურობდნენ. როცა არაფერმა გაჭრა, ხელისუფლება იძულებული გახდა, დემონსტრანტები ძალის გამოყენებით დაეშალა. სამწუხაროდ, ამერიკის ამ ავანტიურას იმხელა მსხვერპლი მოჰყვა, რომ მისი გახსენებაც კი მზარავს.

ფაქტია, რომ ამ შემთხვევის შემდეგ ჩინეთში არავითარი ანტისახელისუფლებო მიტინგები აღარ გამართულა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამის შემდეგ ეს ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა ისე განვითარდა და გაძლიერდა, რომ მსოფლიოში ზესახელმწიფოდ იქცა. თუ მიტინგების შეწყვეტა ასე პოზიტიურად მოქმედებს ქვეყნის განვითარებასა და მისი ეკონომიკის გაძლიერებაზე, იქნებ, ჩვენც გადმოგვეღო მათი ეს გამოცდილება და მიტინგების ნაცვლად, საქმისათვის მოგვეკიდა ხელი.

ასევე, სამარცხვინოდ ჩავარდა ამერიკის მიერ რუსეთში იგივე სცენარით ხელისუფლების შეცვლის მცდელობა, რომელიც ნავალნის დაპატიმრებით დასრულდა. ვისაც მოსკოვში მიმდინარე მაშინდელი მოვლენები გახსოვთ, დააკვირდით, როგორ ტყუპისცალივით ჰგავს ისინი თბილისში მიმდინარე დღევანდელ სიტუაციას. სამწუხაროდ, ფულზე გაყიდული და გრანტებს დახარბებული ადამიანები საკმაოდ მომრავლდნენ საქართველოში, რომლებიც თავიანთი პირადი კეთილდღეობის მოსაწყობად, იოლი და მსუყე ცხოვრების შესაქმნელად, სულს ეშმაკზე ჰყიდიან და ქვეყანასა და ხალხსაც ზედ მიაყოლებენ ხოლმე.

— მნიშვნელოვანია, რომ „ფერადი რევოლუციების“ წამყვან ძალად ყოველთვის ახალგაზრდობაა „დანიშნული“...

— მე ჩემსას ვწუხვარ, გული მიკვდება, როცა რუსთაველზე აქციის მონაწილეთა შორის შეცდომაში შეყვანილი და სულგაყიდული ახალგაზრდების ქცევას ვუყურებ. ცეკვის დროს როგორ იგრიხებიან და იმანჭებიან, რა ლექსიკით საუბრობენ. პირდაპირ ვაცხადებ:

ყველაფერ ამაში განათლების სამინისტროს მესვეურებს ვადანაშაულებ, რადგან ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ძირითადად, ამ გზაბნეული ახალგაზრდების კი არა, სოროსის მიერ თავსმოხვეული და სამინისტროს მიერ დიდი ზარ-ზეიმით გატარებული „რეფორმების“ ბრალია.

სამწუხაროდ, ამ „რეფორმების“ შედეგად მიღებული მავნე ჩვევები წარმატებით მკვიდრდება ცხოვრებაში. ამათგან განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს თეზისი: „მოსწავლე ყოველთვის მართალია“, „სტუდენტი ყოველთვის მართალია“. თურმე, მოსწავლისა და სტუდენტის უფლება არ უნდა დაირღვეს, პროფესორ-მასწავლებლების უფლებების დარღვევა კი დასაშვები ყოფილა. მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, მათი უზრდელობისა და სასწავლებლის შინაგანაწესის დარღვევისათვის, შენიშვნის მიცემა და წესრიგისკენ მოწოდებაც არ შეიძლება, ამით თურმე მათი უფლებები ირღვევა, იმ მოვალეობებზე კი, რომლებიც მათ აკისრია და უფლებებს ბევრად აღემატება, არავინ ლაპარაკობს.

მრავალჯერ მითქვამს და ვიმეორებ, სტუდენტებისა და მოსწავლეების უფლება ირღვევა მაშინ, როცა მათ ხელი ეშლებათ თავიანთი მოვალეობების შესრულებაში, განსაკუთრებით, სწავლისა და ცოდნის მიღების ხელის შეშლაში, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ და მკაცრად უნდა დავიცვათ. მაგრამ ის, რომ ისინი გაკვეთილებს არ ისწავლიან, პრაქტიკულ სამუშაოს არ შეასრულებენ და ამიტომ უარყოფით შეფასებებს იმსახურებენ, ეს თურმე მათი უფლების დარღვევა ყოფილა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოვიღოთ ლექსიკონიდან.

უამრავი შეცდომა, უფრო სწორად, დანაშაულია ჩადენილი განათლების სამინისტროს მიერ ლომაიას მინისტრობის დროს. სამწუხაროდ, იგივე გრძელდება „ოცნების“ ხელისუფლების დროსაც. უფრო მეტიც, თუ „ნაციონალებმა“ ყოფაქცევის შეფასება საერთოდ ამოიღეს სააატესტატო ნიშნებიდან, ბატიაშვილი ამასაც არ დასჯერდა და გამოსაშვები გამოცდები საერთოდ გაუქმა სკოლებში, რაც უკვე შეცდომა კი არა, ახალგაზრდების მიმართ ჩადენილი დანაშაულია. ეს, ფაქტობრივად, ახალგაზრდა თაობის ცოდნის მიღების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი და მათი გამოთაყვანების ხელისშემწყობი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“, სამინისტრო დუმს...

სამინისტროში, სადაც ლომაია-შაშკინ-გვარამიას შემდეგ, მინისტრებისა და მათი მოადგილეების გარდა, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა და საკვანძო თანამდებობებზე ყველგან „ნაციონალები“ სხედან, სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდოთ. ამიტომაც არის, რომ ქვეყანაში მოგვიმრავლდნენ უვიცი და თავხედი ახალგაზრდები, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილი მეცადინეობისთვის განკუთვნილ ისედაც შემცირებულ დროს მიტინგებზე ატარებს და დროს უქმად კარგავს. ასე რომ, სოროსის მიერ დაფინანსებულმა განათლების სისტემამ შედეგი გამოიღო და მივიღეთ ის, რაც არის.

— საშველი ხომ უნდა დაადგეს, რა გახდა ეს „გაუნათლებლობის სამინისტრო“...

— თუ სასწავლო დაწესებულებებში არ დამთავრდა მოსწავლეებისა და სტუდენტების მმართველობა, თუ სასწავლო დაწესებულებებში არ განმტკიცდა სასწავლო და საშემსრულებლო დისციპლინა, თუ ისევ მათ უფლებლების დაცვასა და პრიორიტეტებზე განვაგრძობთ ლაპარაკს, სწავლისა და ცოდნის ხარისხის ამაღლებას არაფერი ეშველება. მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის ეს საზიანო ტენდენცია თუ ისევ გაგრძელდა და სამინისტრომ

ამ მიმართებით გადამჭრელი ზომები არ მიიღო, ამ ტვინგამორეცხილი, თავხედი და უტიფარი ახალგაზრდობის რაოდენობა არათუ შემცირდება, არამედ კიდევ უფრო გაიზრდება.

ეს იმის ბრალიც არის, რომ ქვეყანას არ აქვს იდეოლოგია, უიდეოლოგიო ქვეყანაში კი იდეებისათვის არავინ იბრძვის. ამიტომ არის, რომ საერთო საქმის კეთების ნაცვლად, მათი დიდი უმრავლესობა პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნავს და ვიღებთ იმას, რაც არის, ანუ მოვიმკეთ ის, რაც დავთესეთ.

ლექტორები, ნაცვლად იმისა, რომ სტუდენტებს მიტინგებში მონაწილეობას კი არა, უნივერსიტეტის კედლებში დაბრუნებასა და ცოდნის მიღებისკენ მოუწოდებდნენ, მათთან ერთად მონაწილეობენ მიტინგებში; მშობლები, რომლებიც თავიანთ შვილებს სკოლასა და უნივერსიტეტში სიარულისა და ცოდნის მიღებისკენ უნდა მოუწოდებდნენ, მათთან ერთად მონაწილეობენ მიტინგებში; ამასაც აღარ დასჯერდნენ, „თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამაო“ და ბებია-ბაბუებიც გამოჩნდნენ სამიტინგო არენაზე, რომლებიც ცოტა დარცხვენილნი, მაგრამ მაინც რიხიანად აცხადებენ: „ხელისუფლება, არჩევნებთან ერთად, ევროპასაც გვართმევსო“. მალე, ალბათ, თავიანთ მიცვალებულ წინაპრებსაც წამოაყენებენ საფლავებიდან, მათ მსვლელობას „მიცვალებულთა მარშს“ დაარქმევენ და მათთან ერთად გააპროტესტებენ „მოპარულ ხმებს“ და „გაყალბებულ არჩევნებს“ და ასეთი შემართებით განაგრძობენ ბრძოლას ევროპული მომავალისთვის.

გული მიკვდება, როცა ჩემს საფიცარ საქართველოში ასეთი არასახარბიელო რაღაცები ხდება. საზოგადოების არც ისე დიდი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ისე არიან ტვინგამორეცხილები და გამოთაყვანებულები, რომ თავიანთი ქვეყნის ინტერესებზე წინ უცხო ქვეყნების ინტერესებს აყენებენ. ისე როგორ უნდა დაიბრმავო თვალები და დაიცო ყურები, რომ ვერაფერი დაინახო და არაფერი გაიგო. როგორ უნდა გიხაროდეს იმ კაცის ცუდი, რომელმაც მთელი თავისი ქონების თითქმის ნახევარი, სამი მილიარდი დოლარი, ქველმოქმედებაზე დახარჯა, ამხელა თანხა თავისი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას ყოველგვარი ანგარების გარეშე უშურველად მოახმარა. კაცი, რომელმაც ქვეყანა გარდაუვალი ომისა და სისხლისღვრისაგან იხსნა, ქართველი საჯიშე ბიჭები საზარბაზნე ხორცად არ გაიმეტა და ქართული გენოფონდი გადაარჩინა...

— ბატონო ომარ, არ ფიქრობთ, რომ სასიკეთო ძვრები დაიწყო?

— ჩვენი „დასავლელი „მეგობრები“ ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ, ფაქტობრივად, მათი „ვასალი“ ერთი ციცქნა საქართველო მათ წინააღმდეგ წასვლასა და დამოუკიდებელ, თავისი ხალხის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკის გატარებას გაბედავდა.

მადლობა ღმერთს და დღევანდელ ხელისუფლებას, როგორც იქნა, თავში ერთი წამორტყმით დასავლეთის ყველა სურვილის უპირობო შემსრულებელი ვასალური ქვეყნიდან, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიმღებ დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყნად ვიქეცით.

დღეს მსოფლიო მასშტაბით სიცრუის ისეთი საინფორმაციო ომია გაჩაღებული, რომ, თუ პოლიტიკის ლაბირინთებში კარგად არ ხარ ჩახედული, ტყუილ-მართალის გარჩევა ძალიან ჭირს. ჯერ კიდევ ნაპოლეონი ამბობდა: „ათას ხიშტზე მეტად სამი გაზეთის მეშინიაო“. ის რომ ცოცხალი იყოს, უეჭველად იტყოდა: „ათას ტანკზე მეტად ერთი ტენდენციური ტელევიზიის მეშინიაო“.

დროა, საქართველოში პოზიცია-ოპოზიციამ ქვეყნის სასარგებლო საქმე აკეთონ. ოპოზიციამ უცხო ქვეყნების ინტერესების გატარებას თავი დაანებოს და საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაიცვას. გამოთავისუფლებული ენერგია კი თავისი ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას მოახმაროს.

„საერთო გაზეთი“

როგორ ვმეჯყველობთ...

ქეთინო ბექაური: ალბათ, ბევრი თქვენგანი იფიქრებს, შენმა მზემ, შენ ხომ არაფერი შეგშლიაო, არც უარვყოფ (და არც ვადასტურებ), რომ, მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, მეც მეშლება რაღაცები, მაგრამ მე ხომ ე. წ. საჯარო პირი ან „ცნობადი“ სახე არ ვარ და მსმენელ-მაყურებელთა დიდი რაოდენობითაც ვერ დავიკვეხნი. შესაბამისად, არც საშიშროებას წარმოვადგენ მიბაძვის თვალსაზრისით... რაც მთავარია, არ ვაპირებ „მარგალიტების“ ავტორების სახელი-გვარებით გამოჭენებას, მხოლოდ მათ პროფესიას და საქმიანობის სფეროს მივუთითებ. რასაც ქვემოთ დავწერ, იმის მოსმენისას ხშირად ყურებს არ ვუჯერებდი, მაგრამ ძალიან დამეხმარა სატელევიზიო არხების გადახვევის ფუნქცია. თავის დროზე ამ ჩანაწერების გასაჯაროებაზე რომ მეფიქრა, ალბათ, წყაროს მოპოვებაზე ვიზრუნებდი და „მარგალიტების“ აუთენტურობაში ეჭვი არ შეგეპარებოდათ, მაგრამ...

მოკლედ, ამჯერადაც პატიოსან სიტყვაზე უნდა მენდოთ, რომ ეს ყველაფერი მართლა ითქვა (დაიწერა) და მართლა მოვისმინე (წავიკითხე). აქვე გეტყვით, რომ ძალიან დიდი ხანია, ტელევიზორს აღარ ვუყურებ და „ნაშრომისთვის“ არაფერი მიმიმატებია.

ჟურნალისტი და შოუს წამყვანი:

1. „ჩემში პირის დაღებას საზღვარი არ ქონდა“;
2. „ადვილად რომ ვერ მოგეგენით“;
3. „სამზარეულოში ფუთფუთი უყვარს“;

მსახიობი და გადაცემის წამყვანი

1. „ის ასეთი ყაიდისაა, იცით რა არის ყაიდი?“;
2. „დაგისვავ შემდეგ შეკითხვას“;
3. „ვამეტყველებ ნინი ბადურაშვილს“;
4. „გეთამამება მათი რძლობა?“;
5. „გაქვს უფლება განკითხო სხვა?“;
6. „თქვენ ეტყობა, ჯანმრთელობა კარგად გაქვთ“;
7. „როგორი დასასვამი ხარ ამ სკამზე“;
8. „სიტყვა არ და ვერ შენთვის განსხვავებას წარმოადგენს?“;

მსახიობი, შოუს წამყვანი:

1. „მეცი ახლა კრიჭაში!“ (თანაწამყვანს უთხრა);
2. „ფიზიოლოგია სულ სამი პროცენტი ყოფილა ღალატობის ამბავში“;
3. „ქალები არიან უფრო სუსტი ხელოვნები, ვიდრე კაცები“;
4. „ჭამეთ მწვანეული“;
5. „აფანატებდი ვინმეზე?“;
6. „შენ საქებარად კი არ მოსულხარ“;

პოლიტიკოსი:

1. „თქვენო უწმინდებულებავ!“;
2. „იმპერიის ილაჯქვეშ ამოდება უნდა შეწყდეს!“;
3. „ხეჭეჭური არის ძალიან ძნელად გახარებადი ნერგი“;
4. „მე გამეხარდებოდა, რომ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ სხვადასხვა თანამდებობის პირებზე“;
5. „მე ახლა მოგიყვანეთ ტყეშელაშვილი (დავით), რომელიც გეტყვით, რას გაგიკეთებთ და სად გაგიკეთებთ“;
6. „როგორ მოვახერხოთ ამ ხალხის უკან მორგება“.
7. „ადრე ბიჭები ფიზკულტურაზე დადიოდნენ ისე რა - ცალყბად“;
8. „ჩვენ არგონავტების ქვეყანა ვართ“;

ეჭვი ეპარება

როგორ ვმეტყველებთ...

9. „ვინც ამ რეფორმას ატარებდა, თვითონაც არ იყო შემჩნეული კარგ სწავლაში“;

10. „მე ვიყავი თქვენი გზამკვალავი“;

11. „ინტელექტი ასხავს თვალებიდან“;

12. „ქუთაისის ცენტრი იყო რუსული სალდატების კონცენტრაციის ადგილი“;

13. „აი, დაიწყო უკვე გარესტორნება და გაკაფევება აქაურობამ“;

14. „ეს არ არის ჩქარა ამოღებადი ფული“;

15. „ეს არის მკერდში რტყმევა მჯილის“;

ექიმი-პარაფსიქოლოგი:

1. „მყავდა მოძღვარი, რომელიც ჩემზე ქადაგებდა“;

2. „პარანორმალური მოვლენების ამპლუაში აღმოვჩნდი“;

3. „ამ ქალბატონის დაყრდნობით დაიწერა ჩემი წიგნი“;

4. „ყველა ჩემი მედიკამენტი, არ არის მედიკამენტი“;

5. „როდესაც მოვკვდებით, მერე გვჭირს გულზე ხელების დაწყობა“;

6. „თქვენნაირები უნდა დაათაღლითო!“

პარლამენტარი:

„სანამ ადამიანის ლიკვიდაციას მოკიდებ ხელს, მანამდე უნდა გააფრთხილო.“

ჟურნალისტი:

1. „გუშინ საღამოს გაიმართა ქეთოს და კოტეს პრემიერა“;

2. „დაწყების დრო უცვლელია - საღამოს ოცი საათი.“

ქალაქ N-ის მერი:

„ამ უბნებში განხორციელდება ელექტეოენერგიის მიწოდების არშეზღუდვა.“

ჟურნალისტი:

„გარდაცვლილი ადამიანი, რომელიც ახლა უკვე გარდაცვლილია, თვითონ ავიდა ნომერში.“

ქალაქ N-ის მერი:

„აღმაშენებლის ძეგლის პატივგება მოვახდინეთ.“

ჟურნალისტი:

„მოგვიანებით გოგონას სცემა, რამოდენიმეჯერ ყელი გამოჭრა.“

ლექტორი, შოუს ერთ-ერთი წამყვანი:

1. „ციკვლაზე არ არის საქმე“;

2. „რომ გამეფუჭებია რამე, სასირცხო იქნებოდა“;

3. „ეს ადამიანები იქ დადიან იმისთვის, რომ აჩინონ თავისი თავი“;

4. „მათი კი არ ეშინიათ, არამედ უცხოვდებიან მათ“;

5. „რაც წავიკითხე, არც ერთი გრამატიკული შეცდომა არ მინახია.“ (მაშინ „მინახავს“ იყო მართებული, შარშან ეს წესი შეიცვალა და „მინახია“ აღარ მიიჩნევა შეცდომად - ქ. ბ.).

ფირმის N-ის ხელმძღვანელი:

„ვიწყებთ ფაფის მზადებას და ჭმის პროცესს.“

ჟურნალისტი:

„სამი დაღუპულიდან ერთი პოლიციელის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.“

სახელმწიფო მინისტრი:

„მეტს აღარ გავგრძელდები.“

მინისტრი:

„ეს საქართველოს შიდა კუხნაა.“

ნახატები კოტე იანტბელიძისა

ვინ იყო ნამდვილი გრაფი მონტე-კრისტო?

რომანი „გრაფი მონტე-კრისტო“ ალექსანდრე დიუმას რომანებიდან ერთი-ერთი ყველაზე პოპულარულია. ეს ნაწარმოები მხოლოდ ლიტერატურული კლასიკის ნიმუში კი არ არის, არამედ საოცრად მიმზიდველი ამბავია, რომელიც გზიბლავს და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ამიტომაც არის, რომ მსოფლიოს მკითხველებს ძალიან უყვართ.

ბევრმა ადამიანმა იცის, რომ დიუმა თავისი რომანებისთვის თემებს კი არ იგონებდა, არამედ რეალურ ამბებს ასახავდა. ასე იყო რომან „გრაფი მონტე-კრისტოს“ შემთხვევაშიც. გრაფს მარტო რეალური პროტოტიპი ჰყავდა, მისი ცხოვრების ისტორია კი უფრო მიმზიდველი და საინტერესო იყო, ვიდრე წიგნი. თუმცა, უფრო შემზარავი და ტრაგიკული...

ნიმელი ხარაზი

იმ ადამიანს, რომელიც ედმონ დანტესის პროტოტიპად იქცა, ფრანსუა-პიერ პიკო ერქვა. ალექსანდრე დიუმამ ნამდვილი ამბავი გვიამბო. ვნებიანი სიყვარულის, უსინდისო ცილისწამების, მეგობრების ღალატისა და სასტიკი შურისძიების ამბავი. ეს თავბრუდამხვევი ისტორია მწერლის წარმოსახვის ნაყოფი არ ყოფილა.

პიერ პიკო უბრალო ხარაზი იყო. ის საფრანგეთში, ქალაქ ნიმში დაიბადა და იქვე ცხოვრობდა. მას ძალიან გაუმართლა, რადგან შესანიშნავ ქალიშვილს, მარგარიტა ვიგორუს შეუყვარდა. ის მარტო ზღაპრულად ლამაზი კი არა, ძალიან მდიდარიც იყო. ახალგაზრდები დანიშნულები იყვნენ და ქორწილისთვის ემზადებოდნენ. ასეთ ბედნიერებას არ შეიძლებოდა, შური არ გამოეწვია. ასეც მოხდა. პიკოს ოთხი საუკეთესო მეგობარი ჰყავდა: შობარი, სოლარი, ლუპიანი და ალიუ...

მეგობრების შეთქმულება და ციხე

ერთ-ერთ მეგობარს მარტო კი არ შურდა პიკოსი, საიდუმლოდ იყო შეყვარებული იყო მის საცოლეზე. მატიე ლუპიანმა არ იცოდა, როგორ შეეშალა ხელი მეგობრის ქორწილისთვის. ერთხელ ის პიკოს ორ სხვა მეგობართან ერთად სვამდა დუქანში. როცა საკმაოდ დალიეს, მან მეგობრებს გული გადაუშალა. მათ „კეთილი“ რჩევა არ დაინანეს და ყველამ ერთად გადაწყვიტა, რომ პიერის წინააღმდეგ ცილისწამება შეეთითხნათ, მისთვის ინგლისის ჯაშუშობა დაებრალებინათ, თითქოს როიალისტებს უჭერდა მხარს. მეოთხე მეგობარმა, ანტუან ალიუმ გაიგო ამ შეთქმულების შესახებ, მაგრამ პიკო არ გააფრთხილა.

მერსედესის პროტოტიპი რომანში მარგარიტა ვიგორუა.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც რომანშია: ქორწილის დღეს პიკო დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს ფრიად გასაიდუმლოებულ პირობებში. მთელი შვიდი წელი გაატარა მან ალპებში, ფენესტრელის ციხეში (ახლანდელი პიემონტე, იტალია). პიკომ არც კი იცოდა, რის გამო იხდიდა სასჯელს. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა პიკომ გვირაბი გათხარა მეზობელ საკანში, სადაც იტალიელი მღვდელი, მამა ტორი იხდიდა სასჯელს. ერთი წლის შემდეგ ტორი სასიკვდილოდ დაავადდა. სიკვდილის წინ კი პიკოს განძი უანდერძა, რომელიც მილანში ჰქონდა დამალული.

სასტიკი შურისძიება

ციხესიმაგრიდან პიკო ისე არ გაქცეულა, როგორც რომანშია აღწერილი. 1814 წელს იმპერიული ხელისუფლება დაეცა და პიკო გაათავისუფლეს. დაბერებული, ციხეში ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტებული ადამიანი, რომელიც ისე შეიცვალა, რომ მისი ცნობა შეუძლებელი იყო, თავისი მემკვიდრეობის მისაღებად გაემართა. ამის შემდეგ იგი პარიზში დაბრუნდა. იქ, თითქმის ათი წლის განმავლობაში, პიკო შურისძიების გარდა ვერაფერზე ფიქრობდა. მის სულში დედამიწის ზურგზე არცერთი ადამიანის მიმართ კეთილი გრძნობები აღარ დარჩა.

ნამდვილი მონტე-კრისტო ციხიდან შურისძიების წყურვილით შეპყრობილი გამოვიდა.

თავიდან თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულმა პიკომ ჯერ ალიუ იპოვა, რომელმაც ყველაფერი იცოდა, მაგრამ მეგობარი არ გააფრთხილა. ინფორმაციის სანაცვლოდ პიკომ „მეგობარს“ იტალიელი პრელატის საგანძურიდან უზარმაზარი ალმასი აჩუქა. ალიუმ პიერს ყველაფერი დაწვრილებით უამბო იმ შეთქმულების შესახებ, რომელშიც მისი ეგრეთ წოდებული მეგობრები მონაწილეობდნენ. მას შემდეგ, რაც პიერი დააპატიმრეს, მარგარიტა დიდხანს ნაღვლობდა და ელოდებოდა მის დაბრუნებას. ორი წლის შემდეგ კი ლუპიანს გაჰყვა ცოლად. ცილისწამებამ შედეგი გამოიღო: საყვარელი ქალი და მისი მდიდარი მზითევი, როგორც იქნა, ლუპიანის ხელში აღმოჩნდა. ცოლის ფულებით მან პატარა იტალიური კაფე შეიძინა და მას შემდეგ უზრუნველად ცხოვრობდა.

ამის შემდეგ ყველაფერი თითქმის ისე მოხდა, როგორც რომანში, მაგრამ ყველაფერს უფრო მეტი სისხლი მოჰყვა და უფრო საზარლად დასრულდა. პიკომ ჯერ შობარი მოკლა. მოულოდნელად წაადგა თავს და ხანჯალი პირდაპირ გულში გაუყარა. მერე ლუპიანის ქალიშვილს გამოცდილი ბოროტმოქმედი მიუგზავნა, რომელმაც ქალიშვილი აცდუნა და ცოლად შერთვას დაპირდა. ქორწილზე კი საქმრო დაიჭირეს და ოჯახი შერცხვენილი დარჩა.

ამის შემდეგ პიკომ ხანძარი მოაწყო ლუპიანის კაფეში. ყველაფერი დაიწვა. ლუპიანი გაბანკროტდა. ამის შემდეგ ლუპიანის ვაჟიშვილის სახლში ოქროულობა აღმოაჩინეს. პიკომ თავისი მტრის

15 გვ.

საქართველო, დატოვე ჯანმო!!!

6 მარტს პარლამენტში შევიდა პეტიცია მოთხოვნით, რომ საქართველო ჯანმოდან გამოვიდეს. ტრამპმა უკვე გაგზავნა განაცხადი გამოსვლაზე. ვნახოთ, როგორ მოიქცევა საქართველო, მიბაძავს აშშ-ს თუ მიბაძავს რუსეთს, რომელიც ამბობს, ჯერჯერობით არ ვაპირებ გამოსვლასო, თუ ჩინეთს, რომელიც ჯანმო-ს გაძლიერებას მოითხოვს. დატოვოს საქართველომ ჯანმო! საქართველოს მოქალაქეები ერთმანეთის გვერდზე დგომისთვის ერთმანეთს ვუხდით მადლობას, ხოლო ხელმოწერების შეგროვებისთვის განსაკუთრებული მადლობა: თინა თოფურიას, თინა გოცაძეს, ნინო რევაზიშვილს, თემო ბოკელავაძეს, მანანა გლუნჩაძეს, ლერი ჯალაბაძეს, ნინო აქიმიშვილს, არჩილ იანვარაშვილს. როდესაც პეტიციის განხილვა ჩაინიშნება, გაცნობებთ.

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N8)

დაფინანსებაზე მინდა ვთქვა: როდესაც ჯანმო-დან გასვლის საკითხს ვაყენებდი, ოპონენტები მეუბნებოდნენ, რომ ჯანმო აფინანსებს პროგრამებს და ის ხალხი დაუცველი დარჩებაო.

ჯანმო აფინანსებს ძალზე უმნიშვნელოდ და იმ ადამიანების ჯანმრთელობას, რომლებიც განწირულები არიან, სანაცვლოდ, **ჯანმო და მისი მესვეურები ჩვენგან ითხოვენ ჯანმრთელ ადამიანებს, განსაკუთრებით, ჯანმრთელ ბავშვებს!“**

ამერიკელი პედიატრი **რობერტ მენდელსონი**: აცრები, — ეს არის ნელი მოქმედების ბომბი! — ამბობდა ამერიკელი პედიატრი რობერტ მენდელსონი და მას ადამიანთა მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი უჯერებდა.

ჩემ გარშემო, მაგალითად, ჩემი ახლო ნათესავი, ასევე პედიატრი, უჯერებდა, — პირდაპირ ვერ მითხრა, მაგრამ ირიბად მირჩია, რომ, როგორც თვითონ, მეც არ ამეცრა შვილები. მანვე გამარკვია პაპილომა ვირუსის აცრების ბოროტებაში ჯერ კიდევ 15 წლის წინათ...

მასთან ინტერვიუები „ინკოგნიტო რესპონდენტით“ მქონდა გაკეთებულები, თუმცა, ბოლომდე მაინც არ ამბობდა სათქმელს, შეგეშინდებაო; ვაითუ, გათქმევინონ, ვინ გითხრაო... მან მითხრა, რომ თუ იმას იტყვის, რაც იცის კი არა, სიცხიან პაციენტს რომ რაიმე ურჩიოს, რაც გაიდლაინებში არ წერია და ეს პაციენტის მშობელმა თქვა სადმე „ისეთ“ ადგილზე, ან ვინმე „ისეთთან“, ლიცენზიის ჩამორთმევას ვინ ჩივის, თუ არ დაიჭერენ, კარგი იქნება...

ახლა ამერიკულ პრესაში ატყდა აჟიოტაჟი წითელას გარშემო, ვითომდა წითელას ეპიდემია იწყება. რეალურად, სულ სამი შემთხვევა იყო და მათგან ერთი გარდაცვალება, მაგრამ არ აზუსტებენ დეტალებს, ჰქონდა თუ არა ბავშვს სხვა ქრონიკული დაავადება; რის საფუძველზე დაისვა დიაგნოზი; რითი მიმდინარეობდა მკურნალობა და ა. შ.

მოსახლეობაში დაიწყეს ისეთი განწყობის შექმნა, რომ წითელას ეპიდემია კარზეა მომდგარი. საქმე ის არის, რომ აცრილთა პროცენტმა საგრძნობლად იკლო და ეს არ აწყობს სამედიცინო მაფიას.

კენედიმ მოითხოვა აცრების გადახედვა, ცვლილებების შეტანა და აღიარება, რომ აცრები პირდაპირ კავშირშია აუტიზმთან — ყველაზე ხშირი შემთხვევები სწორედ წითელას აცრას ემთხვევა. კენედიმ საჩივრებით გაარკვია, რომ 30 წლის განმავლობაში ამ ვაქცინის მწარმოებელს საჭირო კვლევები არ ჩაუტარებია...

რობერტ მენდელსონი:

1. არ არსებობს დამარწმუნებელი სამეცნიერო დასკვნები იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ბავშვთა დაავადება მასიურმა ვაქცინაციამ გააქრო. მართლაც გაქრა და შემცირდა ბავშვთა ბევრი დაავადება, მაგრამ არავინ იცის, რატომ მოხდა ეს. ნაწილობრივ, ამის მიზეზი, შეიძლება, იყოს ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. თუ აშშ-ში დაავადებათა გაქრობა ან შემცირება მასიურმა ვაქცინაციამ გამოიწვია, მაშინ ნება მომეცით ვიკითხო: იმავდროულად, რატომ გაქრა ის ევროპაშიც, სადაც ჯერ არ მიმდინარეობდა ვაქცინაცია?

2. მიღებულია აზრი, რომ ვაქცინამ შეაჩერა პოლიომიელიტის ეპიდემია აშშ-ში 1940-1950 წწ. თუ ეს ასეა, რატომ შეწყდა ეპიდემია ევროპაშიც, სადაც პოლიოვაქცინა არ გამოიყენებოდა ასე ფართო მასშტაბით?

რომ ვერ ელევიან პოლიოვაქცინას, ამით ზუსტად იმეორებენ ბუნებრივი ყვავილის ვაქცინის ისტორიას: დაავადების გაქრობიდან 30 წლის შემდეგაც მისი ვაქცინა იყო ერთადერთი მიზეზი ყვავილით სიკვდილიანობისა.

ამაზე ღირს დაფიქრება! **30 წელი ბავშვები იღუპებოდნენ იმ დაავადების აცრისაგან, რომელიც აღარ არსებობდა!!!**

3. ყოველი აცრა თავისთავად დიდი რისკია. არსებობს უამრავი უკუჩვენება, რის გამოც ის ბავშვისათვის საფრთხის შემცველია. მშობლები არც კი ეჭვობენ ამ საფრთხეებზე, ექიმები კი არ თვლიან საჭიროდ, აცნობონ მშობელს ამის შესახებ და პოლიკნინიკებში რიგებია ბავშვების, რომ მიიღონ ნემსი, რომელმაც შეიძლება გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. გამონაკლისი არ კეთდება არავისზე მაშინ, როცა ექიმი უბრალოდ, ვალდებულია შეამოწმოს, ხომ არ არის ესა თუ ის ვაქცინა უკუნაჩვენები კონკრეტული ბავშვისთვის.

4. აცრების მომენტალური რეაქციები ყველასთვის ცნობილია, თუმცა არავინ იცის, რა შედეგის მომტანია უცხოგენური ცილის შეყვანა ბავშვის ორგანიზმში. ყველაზე მეტად შოკისმომგვრელია ის ფაქტი, რომ არც არავინ ცდილობს ამის გაგებას.

5. იზრდება ეჭვები იმის თაობაზე, რომ ვაქცინები იწვევენ აუტოიმუნური დაავადებების მატებას. ეს ისეთი საშინელი დაავადებებია, როგორიცაა: სიმსივნე, ლეიკემია, რევმატოიდული ართრიტი, გაფანტული სკლეროზი, სისტემური წითელი მგლურა და გიიენ-ბარის სინდრომი. მარტივად რომ ავხსნათ, ასეთ დროს დამცველობითი იმუნური სისტემა ვერ განასხვავებს უცხოს და საკუთარ ქსოვილებს და იწყებს თვითგანადგურებას. ხომ არ გავცვალეთ წითელა და წითურა სიმსივნეზე და ლეიკემიაზე? იმიტომ ვლაპარაკობ ამ ყველაფერზე, რომ ვეჭვობ, პედიატრებიდან მოისმინოთ მსგავსი რამ.

1982 წელს ამერიკული აკადემიის პედიატრთა ფორუმზე წარმოდგენილი იყო რეზოლუცია, რომელსაც ევალებოდა მშობლების ინფორმირება აცრების სარგებლისა და რისკების შესახებ. ინფორმაცია უნდა დაწერილიყო ყველასთვის გასაგებ ენაზე და ყველა გონიერ მშობელს უნდა სცოდნოდა შესაძლო გვერდითი მოვლენები. რა თქმა უნდა, იქ მყოფ ექიმთა უმრავლესობამ არ ჩათვალა საჭიროდ „გონიერ მშობელთა“ ინფორმირება და რეზოლუცია გააუქმეს!

მწვავე დებატები არ წყდება ამ თემასთან დაკავშირებით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც ყურადღებას უთმობენ ამ საკითხს. სულ უფრო მეტი მშობელი ამბობს უარს ვაქცინაციაზე და ამითი იურიდიულ წინააღმდეგობასაც აწყდებიან ზოგჯერ.

აცრის შედეგად გარდაცვლილი და დაინვალიდებული ბავშვების დედები არ ეპუებიან არავის და სასამართლოში უჩივიან ვაქცინის მწარმოებლებს. ამავდროულად, პედიატრები კბილებით იცავენ ვაქცინაციას, იმიტომ, რომ ის კვებავს მათ, ის უზრუნველყოფს უწყვეტ ნაკადს პაციენტებისა.

კითხვა, რომელიც უნდა დასვას მშობელმა: „ვინ უნდა მოკვდეს, რომ ექიმებმა ხმა ამოიღონ?!“

მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტია, გარისკავთ და აცრით თქვენს შვილს თუ არა. თუმცა, თუ აცრის გაკეთებას გადაწყვეტთ, დაჟინებით მოითხოვეთ პედიატრისაგან შემოთავაზებული ვაქცინის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, ყველა გვერდითი მოვლენის ჩამონათვალი.

ყველა ბავშვს ვუსურვებ ჯანმრთელობას!“



●

„საერთო გაზეთი“ 2010 წელი

როდესაც ახალი სიცოცხლე იბადება, მაშინვე, დაბადებიდან სამი საათის შემდეგ უკვე ცრიან ახალშობილს, რომელიც „ბცჟ“-ს სახელითაა ცნობილი, შემდეგ, ზრდასრულობამდე, გარკვეული ინტერვალებით ხდება მისი აცრა სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებისგან დამცავი პროფილაქტიკური მიზნით და ეს არავის უჩენს პროტესტის გრძნობას, პირიქით, მშობლები სიხარულით მიარბენინებენ ბავშვებს პედიატრის მიერ დათქმულ დროს ბავშვთა პოლიკლინიკებში.

— წლების წინათ სავალდებულოდ გამოცხადდა სკოლის ასაკის მოზარდების აცრა ყბაყურაზე. ვისაც მოზრდილი შვილი ჰყავს, ყველამ იცის, რომ ყბაყურაზე აცრა კარგა ხანია, ფასიანია, ამდენად, უფასოდ აცრა მშობლის ჩარევის გარეშე, რა თქმა უნდა, ყველა მშობლისთვის ერთგვარი შეღავათი იყო.

ვინაიდან ცნობილია, რომ მწვავე ინფექციური დაავადება ყბაყურა, ყბა-ყურა ჯირკვლის გარდა, სხვა ჯირკვლოვან ორგანოებსაც აზიანებს, მათ შორის, სათესლე ჯირკვლებასაც, რასაც, გართულების შემთხვევაში, გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება მოყვეს, ბიჭის მშობლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ვაჟის ყბაყურაზე აცრას.

მოხდა აუხსნელი რამ, აცრილი მოზარდების ადგილზევე კარგავდნენ გონებას. თავდაპირველად ეჭვი არაფერზე აღძრულა, ნემსისადმი შიში დასახელდა მოზარდების გონების დაკარგვის მიზეზად, მაგრამ, როცა უკვე საავადმყოფოებში მოხვდნენ ბავშვები, მაშინ კი გაუხმაურებელი შემთხვევებიც გახმაურდა. ვინაიდან სკოლა ვალდებული იყო ზემდგომთაგან, რომ საკუთარი მოსწავლეები აუცილებლად აეცრა, დაეჭვებული მშობლები კი წინააღმდეგნი გახდნენ შვილების აცრისა, დაიწყო სკოლებში მშობელთა მივარდნები (სხვა მშობლების მსგავსად, პირადად თქვენს მონა-მორჩილსაც მაქვს ხელწერილი დაწერილი სკოლის დირექტორის სახელზე, რომ წინააღმდეგი ვარ ჩემი ვაჟის ყბაყურაზე აცრის. — მ. ჭ.).

მახსოვს, ამ შემთხვევების შესახებ ბევრი დაიწერა, ამდენად ყბაყურის ასაცრელი ვაქცინის წარმომავლობაზე და ვიღაცეების ხელისმოთბობაზე აღარ გავაგრძელებ, არც იმაზე, რომ „ბცჟ“ აცრაზე ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა, მაგრამ იმას გვერდს ვერ ავუვლით, რომ უკრაინიდან მოწოდებული მასალებით, ვაქცინაცია იწვევს უკურეაქციებს და, ხშირ შემთხვევაში, პატარების ინვალიდობის მიზეზი ხდება, ვინაიდან საყრდენ-მამოძრავებელი სისტემისა და ფილტვების დაზიანებას იწვევს. ამბობენ, მაგრამ ჩვენ რატომღაც არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ამის მიზეზი ვაქცინების გენური ინჟინერიით მიღებაა...

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ღორის გრიპის“ ვირუსი მუტაციას განიცდის და ახალი, თან გაორმაგებული ძალით შემოგვიტევს შემოდგომაზე. მანამდე იყო „ქათმის გრიპი...“

მაია ჭელიძე
(გაგრძელება იქნება)

„პოლიტიკური დევნის“ ანატომია

ბოლო კვირაა, საზოგადოება დააბნია ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენისთვის „პოლიტიკური დევნილის“ სახელის დარქმევამ, მაშინ, როდესაც განსაკუთრებით, ანგაჟირებულ მედიას ამის გაგება არ სურს.

საზოგაოდების გარკვეული ნაწილის დაბნევაც განსაკუთრებით ჟურნალისტ მზია ამაღლობელის დაკავებასთან დაკავშირებულმა იმ შეფასებებმა განაპირობა, ერთმანეთში რომ არია დანაშაული, როგორც ფაქტის რაობა და სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა. ყველაზე გასაკვირად მაინც უცხოელები იქცევიან, რომლებიც წლებია, გვიჩიჩინებენ, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, თურმე ნებისმიერი ლოგიკა იქ არის, სადაც მათ უნდათ.

თვრამეტი წელია, რაც ადვოკატი ვარ და ასეთი არასერიოზული და უსუსტესი დანაშაულის გამამართლებელი მოტივაცია, როგორიც „ბათუმელების“ დამფუძნებლის დაკავებას ახლდა თან, არსად მსმენია. პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიის თქმით, თურმე ჟურნალისტის სახელს ამოფარებულმა, შეიძლება ყველაფერი ჩაიდინო და სასჯელი არ დაგეკისროს, რადგან პროფესიულად ხელშეუხებელი ხარ, არადა, კანონი და სამართალი ასეთ შემთხვევას არ იცნობს.

სიმართლე გითხრათ, კიდევ ერთხელ დავინტერესდი მზია ამაღლობელის დაკავების ფაქტით. სხვადასხვა მედიის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას თვალი გადავავლე და მერე, როგორც დამცველმა, საკუთარ თავს ვკითხე, ასეთ მოცემულობაში, როდესაც ვხედავ, რეპორტიორი როგორ ქაჩავს ხელში პოლიციელს, წასულ სამართალდამცავს უკან აბრუნებს და მერე სახეში სილას როგორ აწნავს, რით შეიძლება გავამართლო-მეთქი. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც კანონი იმპერატიულად მეუბნება, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ნებისმიერი წინააღმდეგობა პოლიციელის მიმართ დანაშაულია?!

როგორც ადვოკატს, მეც მყავს სტაჟიორი ადვოკატები, რომელთაც სურთ, სრულყოფილად დაეუფლონ დამცველის პროფესიას. მათ შორის ერთ-ერთი განსაკუთრებით გამოირჩევა. მის შეკითხვებს იურისპრუდენციაში დასასრული არ აქვს... მახსოვს, ამ შემთხვევასთან დაკავშირებითაც მკითხა, ვერ გევიგე, რა ხდება, სისხლის სამართლის კოდექსში სადმე წერია, რომ ჟურნალისტს უფლება აქვს, პოლიციელს ხელი გაარტყას და არ დაისაჯოსო? რა თქმა უნდა არა, ვუპასუხე მე და ამდენი თავბრუსდამხვევი ინფორმაციის შემდეგ გულწრფელი რომ ვიყო, როგორც კანონის მცოდნენი, კარგახანს ეჭვის თვალით ვუყურებდით ერთმანეთს. მე და ჩემს მომავალ კოლეგა ადვოკატს, უფრო მეტად ის გვიკვირს, რომ ის ხალხი, რომლებიც ჟურნალისტის უფლებებს იცავენ, სასამართლო პროცესებზე რატომღა იმეორებენ იმავეს, რისიც, თავიანთი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, თვითონაც არ სჯერათ? იმის ნაცვლად, რომ კლიენტს სწორი რჩევა მისცენ, ციხის კედლები რაც შეიძლება მალე დატოვოს და რისი მზაობაც, თავისი განცხადებებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ნამდვილად აქვს, თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფს პირიქით, აგულიანებენ, პოლიტიკური ტყვე ხარ და დანაშაული არ აღიაროო.

ამ ბოლო კვირაში საზოგადოება ასევე, დააბნია თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელის, გიორგი ბაჩიაშვილის საკვირველმა გაუჩინარებამ. მისი ბრალდების შესახებ „საერთო გაზეთში“ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ. ისიც ვთქვით, რომ ნებისმიერი სამართლებრივი შეფასებისაგან თავს შევიკავებდით, ვიდრე სასამართლო პროცესები არ დასრულდებოდა, მაგრამ ბოლო ფაქტმა დაადასტურა ის პროგნოზი, რასაც ჩვენ სტატიაში სამართლებრივად მივუთითებდით: არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალად ისეთი ქმედება, როგორიც თაღლითობაა, თუ ბრალდებას არ აქვს სამართლებრივად გამყარებული მტკიცებულებები. ასეც მოხდა. გიორგი ბაჩიაშვილმა ისე დატოვა ქვეყნის საზღვრები, აღარ შეეცადა თავისი „უდანაშაულობის“ ბოლომდე დამტკიცებას. .

ბოლო ხანს უკვე მოდად იქცა, ნებისმიერ დანაშაულს პოლიტიკური დევნა უწოდონ. ანგაჟირებულმა მედიამ ბაჩიაშვილის მოულოდნელი გაუჩინარებაც იძულებით ნაბიჯად შეაფასა, მაგრამ საქართველოდან „დევნილ“ კაცს, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩა ერთი მარტივი ჭეშმარიტება, რომ შენს გასაკეთებელ საქმეს სხვა ვერ გააკეთებს და რომ უდანაშაულობის დამტკიცებას საზოგადოების თვალში უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე გაქცევას. ჩვეულებრივი დამკვირვებელი უკვე ხვდება, რომ ბოლო ხანს ბაჩიაშვილის მხრიდან ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული აქციების ფინანსური მხარდაჭერა და ჩართულობა სხვა არაფერი იყო, თუ არა შორსმიმავალი გეგმა, რომ „დამნაშავის“ სტატუსი შემდგომ „პოლიტიკური დევნილის“ სტატუსად ექცია.

მოკლედ, ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ისე აირია, სად სამართალია და სად - პოლიტიკა, ვერავინ მიჯნავს. უახლესი ინფორმაციით, „ციანიდის საქმის“ ადვოკატმა რამიშვილმაც დატოვა საქართველო. როგორც ცნობილია, იგი აქტიურად მონაწილეობდა საპროტესო აქციებში, მაგრამ ცოტა დამაბნეველია ადვოკატის მხრიდან ამგვარი მოქმედება. თუ ერთ ჩვეულებრივ საქმეზე გედავებიან და იცი, რომ მართალი ხარ, რა შუაშია ქვეყნიდან გაქცევა და მით უმეტეს, მაშინ, როდესაც კარგად იცი ადვოკატების სოლიდარობის ამბავი - ჩვენი კოლეგის უფლებების დასაცავად არავის ვუშინდებით და მიზანსაც ვაღწევთ.

ყველაფერი მესმის, მაგრამ არაფრით მესმის იმ დანაშაულისათვის პოლიტიკური სტატუსის მინიჭება, როდესაც სახელმწიფო ამისთვის არ გსჯის. კიდევ ერთი განმარტებისათვის, ბრალდება მზია ამაღლობელს ჟურნალისტური მოვალეობის შესრულებისთვის არ ასამართლებს, მას პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის ედავებიან, რის ერთმანეთისგან გამიჯვნის სურვილი არც ანგაჟირებულ პოლიტიკურ ძალებს და არც მედიას არ აქვთ.

ვერც ბაჩიაშვილის ქვეყნიდან გაქცევა ჩაითვლება იძულებით ნაბიჯად და, მით უმეტეს, ვერც ადვოკატ რამიშვილისა, როგორადაც მავანთ სურთ, წარმოაჩინონ. ისე, ყველა მათგანს ვურჩევ, რომ ევროპა არ არის ის ადგილი, სადაც პოლიტიკურ თავშესაფარს იოლად იძლევიან. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც, შედეგების მიხედვით, საამისოდ არც იურიდიული და არც სამართლებრივი საფუძველი არ გაქვს.

ლევან ჭიღლაძე

გიორგი (გია) ხანთაძის გახსენება

მას სულ ახლახან შეუსრულდა 50 წელი. აქედან ბოლო ცხრა წლის განმავლობაში უმძიმესი დაავადების (ჰემორაგიული ინსულტი) გამო ეტლს იყო მიჯაჭვული და მთლიანად სხვაზე იყო დამოკიდებული. ერთადერთი, რაც ხელუხლებელი დარჩა, მისი გონება, მეხსიერება და აზროვნება იყო. სწორედ ამის და მისი უდიდესი ნებისყოფის წყალობით, არავის არასდროს აგრძნობინებდა თავის გასაჭირს.

გიორგი (გია) ძლიერი პიროვნება იყო. 41 წლის ასაკში, სანამ ეს დაავადება დაემართებოდა, მან ძალიან ბევრი რამ მოასწრო: დაამთავრა ორი ფაკულტეტი (ეკონომიკის და ინგლისური ენის), შემდეგ ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია, რის შემდეგაც ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, დეკანის მოვალეობის შემსრულებელი გახდა.

ამ პერიოდშივე, გიორგიმ შექმნა ოჯახი და დღეს მის სახელზე 10 წლის გურამიკო იზრდება.

თავდაუზოგავი შრომით, გიორგი თანაავტორებთან ერთად, 6 სახელმძღვანელოსა და სალექციო კურსის ავტორი გახდა. მას ერთნაირი წარმატებით შეეძლო ლექციების კითხვა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მუდმივად ცილობდა სიახლეების დანერგვას და ყოველივეს გამო სტუდენტებისა და კოლეგების დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

სადაც იმუშავა (ტელევიზიის მეორე არხზე, საქართველოს ეროვნულ ბანკში, შპს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში), ყველგან დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა. აფასებდნენ მის შრომისმოყვარეობას, განათლებას, პროფესიონალიზმს, თავმდაბლობას და მეგობრობას. ამიტომაც იყო, რომ ავადმყოფობის პერიოდში მას უდიდესი თანადგომა გაუწიეს და ამის გამო თვითონაც მადლიერი იყო. იმედი ჰქონდა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ყველას საკადრის მადლობას გადაუხდიდა.

თუმცა, სამწუხაროდ, მაშინ, როდესაც თითქოს ყველაფერი უკეთესობისკენ მიდიოდა, სრულიად მოულოდნელად, 2025 წლის 5 თებერვალს, გიორგი ამქვეყნიდან წავიდა. დატოვა სასოწარკვეთილი მოხუცი დედა და საყვარელი ძმა ოჯახით. ისინი გამუდმებით ლოცულობენ მისი უსპეტაკესი სულისთვის იმ სამლოცველოში, რომელიც თავად გიორგიმ ააგო საკუთარ სახლში.

2025 წლის 16 მარტს 40 დღე შესრულდება გიორგის გარდაცვალებიდან. მისი, როგორც მთელი არსებით მორწმუნე ადამიანისთვის, პანაშვიდი ჩატარდება ბევრ ტაძარში. ილოცებენ იმ ადამიანის სულისთვის, რომელ ბევრი გააკეთა და რომელსაც კიდევ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო, როგორც ოჯახის, ისე საზოგადოებისა და მთელი ქვეყნისთვის.

ჩვენ კი, მისი მეგობრები, მუდმივად სიყვარულით გავიხსენებთ ჩვენს ერთგულ მეგობარს, გამუდმებით სიკეთისა და სითბოს მთესველ კაცს, საინტერესო პიროვნებას, გიორგი ხანთაძეს.

ნათელში იყოს მისი სული და მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

მეგობრები

სინათლეჩამდგარი მადლიერება

ჰკურნავთ ხალხს და და იხდით ვალებს,
წამლად ხმარობთ სიტყვის ლალებს,
ვენაცვალეთ ჩვენ იმ ქალებს,
ქვეყანას რომ უხელს თვალებს!

ოთარაანთ ქვრივისაგან განსხვავებით, ეს ჩვენი მადლობა „მჭლე“ კი არა, უღრმესი და უდიდესი განძია ხანდაზმულთა თვალთა შუქით, გახსნილი შუბლითა და გულნათელი გრძნობებით გაბრწყინებული და სინათლეჩამდგარი.

ეს სათაყვანებელი ქალბატონი კი ნინო კარანაძეა, ლაიონსების თვალის კლინიკის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.

ერთი ნახვისთანავე რომ თვალებში „ჩაგივარდებათ“, თავს არ დაგანებებთ მანამდე, სანამ შემოპარულ თუ შემოჩვეულ სიბრმავეს არ მოგაცილებთ.

თუ თქვენ არ შეგიძლიათ, საშუალება არ გაქვთ, წამლებსაც და სათვალესაც თვითონ დაგახვედრებთ, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, თან გადაგყვებათ...

მოდი და ნუ დაინახავ ასეთ სიკეთეს, თუ მართლა ბრმა და ყრუ არა ხარ!

ოპერაციებს შესანიშნავი ექიმი - მიხეილ კურტანიძე აკეთებს, თუმცა დანარჩენი მკურნალობა ქალბატონ ნინოსა და მისი კოლეგების თვალქვეშ მიმდინარეობს.

ლაიონსების თვალის კლინიკა, ტრადიციულად მასპინძლობს საქართველოს პენსიონერთა კავშირის წევრებს, საქველმოქმედო აქციებში პირველადი უფასო კვლევები, კონსულტაცია და მკურნალობა შედის.

საქართველოს პენსიონერთა კავშირი (ხელმძღვანელი ამირან გაფრინდაშვილი), რომელსაც დიდი ხანია, მემორანდუმი აქვს გაფორმებული კლინიკასთან, მის თანამშრომელ ქალბატონებს: სამ ნინოს - ნინო კარანაძეს, ნინო ჯანყარაშვილს, ნინო გაჩეჩილაძეს, ქეთევან ტყებუჩავას, მარინა ჯაშიაშვილს, ირინა ვეფხვაძეს, ნია ჟღენტსა და თინათინ კილასონიას ვულოცავთ დედისა და ქალთა დღეებს – გაზაფხულის ამ ორ მშვენიერ დღესასწაულს!

ვუსურვებთ თვალნათელ და გულნათელ სიცოცხლეს, ხანგრძლივ და ნაყოფიერ საქმიანობას, ჩვეულ გულისხმიერებასა და ხანდაზმულთა ერთგულ სამსახურს!

სიხარულის ცრემლებს ვაფრქვევთ მადლიერი პაციენტები: მედეა მოსულიშვილი, ციცინო ცინცაძე, დოდო ვეზირიშვილი, ზოია ტაველიშვილი, ციალა ცინცაძე, სხვები და სხვები...

მედეა მოსულიშვილი,
ჟურნალისტი, საერო-სამეცნიერო
აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრი,
საქართველოს პენსიონერთა კავშირის წევრი

ვინ იყო ნამდვილი გრაფი მონტე-კრისტო?

12 გვ.

ვაჟიშვილი ქურდობაში დაადანაშაულა. ყმაწვილი ციხეში აღმოჩნდა. მარგარიტამ ვერ გადაიტანა თავს დატეხილი ამდენი უბედურება და გარდაიცვალა. ბოლოს პიკომ ლუპიანიც მოკლა.

ამ მოვლენების შემდეგ ალიუმ, რომელმაც ყველაფერი იცოდა პიკოს შურისძიების შესახებ, ის მოიტაცა და დარჩენილი განძეულის მისთვის მიცემა მოსთხოვა. წამების მიუხედავად, პიკომ არ გაამხილა, სად ინახავდა ძვირფასეულობას. იმ სარდაფში, სადაც ალიუ პიკოს აწამებდა, პარიზის პოლიცია შეიჭრა. ალიუმ გაქცევა მოასწრო, პიკომ კი სიკვდილამდე პოლიციელებს თავისი თავგადასავალი უამბო. მისი აღიარება პარიზის არქივში ინახებოდა.

მომხიბვლელი ამბავი შთაგონებისთვის

ალექსანდრე დიუმამ პირველად ეს ამბავი ჟაკ პეშეს მიერ დაწერილი თზულებიდან „მოგონებები პარიზის პოლიციის არქივებიდან“ შეიტყო. წიგნი 1838 წელს გამოქვეყნდა. ალექსანდრე დიუმა ამ ამბავით იმდენად მოიხიბლა, რომ რომანის დაწერა განიზრახა. ფრანსუა პიკო ედმონ დანტესად იქცა. მწერალმა მიუთითა თავისი შთაგონების პირველწყარო რომანის შენიშვნაში და ასე დაასათაურა: „პიერ პიკო: თანამედროვე ისტორია“. ბროშურა გამოდიოდა როგორც რომანის დამატება.

ისტორიკოსები გმირის პიროვნების ნამდვილობას არ ადასტურებენ

თანამედროვე ისტორიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ ამ ამბის ჭეშმარიტებას. სხვას რომ თავი დავანებოთ, არანაირი წერილობითი წყარო არ არსებობს, რომელიც პიერ პიკოს არსებობას დაადასტურებდა. მოთხრობა, რომელიც დიუმას ნამდვილ ამბად მიაჩნდა, სავარაუდოდ, ჟაკ პეშეს ფანტაზიის ნაყოფი უფრო იყო, — რომელსაც პოლიციის არქივებისთვის მეტი რომანტული ელფერის მიცემა სურდა, — ვიდრე რეალური ამბავი.

ამ თეორიის შემოწმება შეუძლებელია. პარიზის არქივები 1871 წელს მთლიანად განადგურდა.

რომანი „გრაფი მონტე-კრისტო“ დღემდე უზომოდ პოპულარული წიგნია. ის გვიამბობს მომხიბვლელ ამბავს მეგობრობისა და შურისძიების ძალაზე, ადამიანის ღირსებებსა და ნაკლზე ისე, როგორც დიდი ალექსანდრე დიუმას კალამს შეეფერება.

რომან „გრაფი მონტე-კრისტოს“ მიხედვით არაერთი ფილმი და სერიალია გადაღებული... ეს წიგნი და ფილმები არაერთი თაობის საყვარელ ნაწარმოებად დარჩება კიდევ მრავალი წლის განმავლობაში...

ბელა გველესიანი



იურიდიული რჩევები

თქვენს შეკითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

- 2007 წლამდე თვითნებურად დავიკავე მიწის ნაკვეთი, რომელზეც ავაშენე სახლი. 2014 წელს მიწის ნაკვეთის დაკანონებისთვის მივმართე მუნიციპალიტეტის აღიარებით კომისიას, მაგრამ რამდენჯერმე მითხრეს უარი იმ მიზეზით, რომ მიწის ნაკვეთს ადევს რეკრაცია, შეზღუდვა. როგორ მოვიქცე?

- თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის დაკანონების შესახებ არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც პირდაპირ ამბობს ,რომ ჯერ უნდა გასაჩივრდეს რეკრაციის შესახებ აქტი, რომელიც გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და კომისია ამის შემდეგ იმსჯელებს დაკანონების საკითხზე.

●

- რას ნიშნავს სისტემური რეგისტრაცია? საჯარო რეესტრის წარმომადგენლები ხშირად ძალიან რთულად გვიხსნიან ამ კანონს და რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ კანონით შეგვიძლია რამდენიმე მოწმის დახმარებით დავირეგისტრიროთ ნებისმიერი ნაკვეთი უფლების დამდგენი დოკუმენტაციის გარეშე.

- რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. სისტემური რეგისტრაცია მიმდინარეობს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში მდებარე მიწის ნაკვეთებზე. ეს არის „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ წარმოებული პროცესი, რომლის დროსაც სააგენტო საკუთარი ინიციატივით, სისტემური წესით ზომავს მიწის ნაკვეთებს, **იძიებს შესაბამის დოკუმენტაციას და არეგისტრირებს საკუთრებას მხოლოდ მოძიებული დოკუმენტაციის საფუძველზე.** აქვე განვმარტავ სპორადული რეგისტრაციის მნიშვნელობასაც. **სპორადული რეგისტრაციით, მოქალაქე დაინტერესებული პირია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არა სააგენტოს ინიციატივით, არამედ თავისი ნებით, განცხადების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, საჯარო რეესტრში მოქალაქე ახდენს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას და ამ კანონის მიხედვით, სწორედ ეს არის განსხვავება, მაგრამ ორივე შემთხვევაში - სისტემურშიც და სპორადულშიც, მიწის რეგისტრაციისათვის აუცილებელია უფლების დამდგენი დოკუმენტის ქონა. სხვა შემთხვევაში, რეესტრი ვალდებულია, საქმე მიწის აღიარებით კომისიაში გადააგზავნოს.**

●

- ვის შეუძლია მოითხოვოს მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი?

- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება შეიძლება მოითხოვოს პირმა, რომელიც არის მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელი, ან თვითნებურად აქვს უძრავი ქონება/მიწის ნაკვეთი დაკავებული.

●

- სად და როგორ საჩივრდება სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

- მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მარეგსტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაასაჩივროს „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით, ხოლო ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში 30 კალენდარული დღის ვადაში, ადმინისტრაციული სარჩელის შეტანის გზით.

●

- ადმინისტრაციული ორგანო არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ვის შემიძლია მივმართო?

- ასეთ შემთხვევაში, კვლავ უნდა მიმართოთ სასამართლოს, ამოწეროთ სააღსრულებლო ფურცელი და აღსრულების ეროვნულ ბიუროში მოითხოვოთ სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

ტელ: 555 75-04-45

გთხოვთ, შეკითხვები გამოაგზავნოთ გაზეთის ელექტრონულ ფოსტაზე: saertogazeti@yahoo.com

ჩილოდან – აფრიკის სავანებსა და ვიეტნამის ჯუნგლებში

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N8)

წითელი ზღვის სანაპირო ზოლში კანტიკუნტად არის ქოლგის ფორმის ხეები და ჯაგნარები, რომლებიც რძისმაგვარ სითხეს გამოჰყოფენ და იქ მობინადრე ჩლიქოსანი ცხოველები წყლის ნაცვლად სვამენ, ჩვენ კი 160 კმ-იდან ვეზიდებოდით წყალს. იქ იყო ჭა, რომლითაც ბედუინები და ჩვენნაირი „მოხეტიალე“ ხალხი სარგებლობდა. ყოველთვის საკმარისზე მეტი წყალი მიგვქონდა, რადგან ვიცოდით, რომ გზაზე აუცილებლად შეგვხვდებოდნენ მწყურვალი ბედუინები.

ბედუინები ამაყი და სტუმართმოყვარე ხალხია. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, წელიწადში რამდენჯერმე იცვ-

ლიან საცხოვრებელ ადგილს. ისინი უღარიბეს პირობებში ცხოვრობენ, მაგრამ ჰყავთ ბევრი ბავშვი, თხები და იშვიათად — აქლემი. არასწორი წარმოდგენაა გავრცელებული, თითქოს ბედუინები, როგორც წესი, აქლემებით დასეირნობენ და იმ მძიმე სასიცოცხლო სივრცეში რაიმეს გადაწყვეტა შეუძლიათ.

ბედუინებში ცოლის კულტია. უცხო მამაკაცმა რომ ბედუინის ცოლის სახე დაინახოს, საბრძოლო განგაში ცხადდება.

მარშრუტზე გადაადგილებისას, ჩვენმა გეოფიზიკოსებმა, თურმე სურათი გადაუღეს ბედუინის ცოლს. რამდენიმე დღის შემდეგ მე და ჩემი არაბი გეოლოგი მივდივართ იმავე გზაზე და რას ვხედავთ, შუა გზაზე დგას მაღალი, გამხდარი, ჩამოძონძილი არაბი. მხარზე გრძელი ხმალი აქვს ჩამოკიდებული, მკლავებზე ასხმული აქვს ქარქაშიანი დანები და ფეხს არ იცვლის. მანქანა რომ გავაჩერეთ, მოვარდა ყვირილით, მანქანის კაპოტზე ხელს ურტყამდა და ნაპერწკლებს ყრიდა, თან ჩემკენ იყურებოდა და იწევდა. როგორღაც დაარწმუნა არაბმა გეოლოგმა, რომ მე არ ვიყავი მისი ცოლით დაინტერესებული და არც სურათი გადამიღია, მაგრამ მაინც მუქარით დამიქნია თითი.

ცოტა გავიარეთ და, სხვა არაბი გადაგვიდგა, გააჩერეთ მანქანაო. გავაჩერეთ. მოგვიახლოვდა, დიდი მოწიწებით მოგვესალმა და სახლში დაგვპატიჟა. არაბისთვის დიდი შეურაცხყოფაა, უარი რომ უთხრა მასპინძლობაზე, ამიტომ უხმოდ გავყევით „სახლში“, რომელიც იქვე იყო. ჯაგის ბუჩქი დასავლეთიდან ქარს აკავებდა, სამხრეთით და ჩრდილოეთით რაღაც ძონძები ჰქონდა ჩამოფარებული. ეს იყო მისი სახლი. „სახლში“ არავინ იყო, ნაღვერდალი ბჟუტავდა და იქვე ეყარა სხვადასხვა ზომის ჯამები. ერთ მხარეს თექის ნაგლეჯი იყო დაფენილი დასაწოლად. შინ შეგვიძღვა, სტუმრებს ქვაბიდან ჯამში რძე ჩამოგვისხა და როგორც საპატიო სტუმარს, პირველად მე მომაწოდა. პირთან მივიტანე, მაგრამ ისეთი სიმყრალე მეცა, როგორიც შიგთავსიან ღამის ქოთანს ექნებოდა. უარის თქმა არ შეიძლებოდა, საშინელი შეურაცხყოფა იქნებოდა. შევიკარი სუნთქვა, ჯამი პირთან მივიტანე, ბაგეები ღრმად ჩავყავი რძეში და თავის დაკვრით დიდი მადლობა მოვახსენე. მასპინძელი კმაყოფილი დარჩა პატივი რომ გვცა...

ბანაკში არაბი მზარეული გვყავდა, რომელიც ჩვენთვის ამზადებდა საჭმელებს, ძირითადად, სოიოსგან. იშვიათად გამოერეოდა ხორცი და ისიც ისეთი მაგარი იყო, ვერ ვღეჭავდით. გავაპროტესტეთ, მაგრამ უშედეგოდ.

ჩვენს გეოფიზიკოსს წამოღებული ჰქონდა თექვსმეტკალიბრიანი თოფი ყველა საჭირო მოწყობილობით. თოფის არსებობა და იდეაც, რომ გაზელებზე ვაპირებდით ნადირობას, ჩვენს არაბს გავუმჟღავნეთ. ძალიან გაუხარდა. დადგა მონადირის პრობლემა და საბოლოოდ, მონადირეობა მე შემრჩა.

მანქანაში წინ მე ვიჯექი. ღამის წყვდიადში ფარნებით გავდიოდით ველზე და ფარნები სივრცეს რომ გაანათდებდა, ზოგი ცხოველი მყისიერად გარბოდა, უმეტესობა კი გაოცებული გვიყურებდა. ჩვენ შორის მანძილი დაახლოებით 50 მეტრამდე რომ შემცირდებოდა, ვესროდი. არაბები გადახტებოდნენ, იქვე გამოჭრიდნენ გაზელს ყელს, გამოშიგნავდნენ და თბილ ღვიძლს სიამოვნებით მიირთმევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში ჯიხვის თბილ ღვიძლზე არ მითქვამს უარი, გაზელისას ვერ გავეკარე. იყო შემთხვევა, რომ სამი გაზელიც მოგვიკლავს ერთი ნადირობისას. გეოლოგიურ პარტიაში ხორცი გაჩნდა, ვუნაწილებდით ყველა ბრიგადასაც და იქვე ახლოს მდგარ სუდანის სასაზღვრო ჯარის რაზმსაც. ყველა კმაყოფილი იყო.

ასეთმა „ნეტარებამ“ დიდხანს არ გასტანა. ჩვენ რომ ნადირობა წამოვიწყეთ, მარტი იყო. ამ დროს გაზელები მაკედ არიან და უკვე კარგად მოზრდილი თიკანი ჰყავთ მუცელში. მოკლული გაზელის მუცლიდან ცოცხალი თიკანის ამოყვანამ ისეთი შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ უარი ვთქვი მონადირეობაზე, — აგერ თოფი და ინადირეთ, მე მაგ ცოდვას ვეღარ ჩავიდენ-მეთქი. ისევ სოიოს მივუბრუნდით, მაგრამ გაუსაძლისი გახდა მისი ჭამა. ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ მამალ გაზელებზე გვენადირა. საქმე ის არის, რომ მათზე ნადირობა ძნელია. მამალს ადვილად კი გამოარჩევ, მაგრამ სწრაფები არიან. ჩვენ წითელი ზღვის სანაპიროზე ვნადირობდით, სადაც რელიეფი უსწორმასწოროა და მანქანა გვიბრუნდებოდა. გაზელი მირბის, წამდაუწუმ იცვლის მიმართულებას, მანქანით მანევრირება ასეთ გზაზე ძალიან ძნელია, სიჩქარესაც ვკარგავდით, მანძილსაც და ვყირავდებოდით კიდეც.

მაისის ათ რიცხვამდე გაგვიგრძელდა საველე სამუშაოები და ამ ხნის განმავლობაში ხორცი არ გამოგვლევია.

ბოლო დღეებში ისე დაცხა, რომ ბუზები ტემპერატურას ვეღარ უძლებდნენ, იხოცებოდნენ. ხორცს

მზეზე ვკიდებდით, ვბრაწავდით და გარკვეულ დრომდე შენახული გვქონდა „ახლის“ მდგომარეობაში.

აფრიკის ჩრდილოეთით, მარტში სტიქიური მოვლენა ხდება, რომელსაც ხაბუბი ჰქვია და საათიდან საათ-ნახევრამდე გრძელდებოდა ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს. ხაბუბი ისეთი ძლიერი ქარია, ფეხით მოსიარულესაც რომ წააქცევს. ამ დროს ყველა სადმეა შეფარებული. ჩვენ მანქანაში ვსხდებოდით და თავზე გეოლოგიური ხალათები გვქონდა წაფარებული, — შეუძლებელია ქვიშიან ქარში პირშიშველად გადარჩენა.

აზია-აფრიკის ქვეყნებს შორის, სადაც მე მომიწია მუშაობამ, ყველაზე ღარიბი ხალხი სუდანში ცხოვრობდა. არაბები ძალიან ზარმაცები არიან...

პორტ-სუდანში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, მეზობლად ციხე იყო — ათი მეტრის სიმაღლის შენობა სახურავის გარეშე. პატიმარს შეაგდებდნენ ღია ცის ქვეშ, დღეში ერთ ღერ სიგარეტს, ერთ ჭიქა წყალს და პურის ნატეხს აძლევდნენ. ზაფხულის თვეებში ჰაერის ტემპერატურა 70^0-მდე ადიოდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ადამიანი დიდხანს ვერ გაძლებს, ამიტომ პატიმართა რიცხვი ძალიან მცირე იყო.

ბაზრობა დილის 6-იდან 8-მდე და საღამოს 7 საათიდან გვიან ღამემდე გრძელდებოდა, სანათის შუქზე, მაღაზიას ღიად ტოვებდა გამყიდველი, როდესაც ლოცვის დრო დგებოდა დღეში რამდენჯერმე, მაგრამ ქურდობას ვინ გაბედავდა...

სუდანში კანონით არის დაშვებული მრავალცოლიანობა. ცოლთან გაშორებაც შეუძლია, მაგრამ ნაცოლარი სიკვდილის ბოლომდე უზრუნველყოფილი უნდა ჰყავდეს. განქორწინების შემთხვევაში, შვილები მამასთან რჩებიან. როგორც წესი, ყველა ცოლი მორიგეობით „შედის“ ქმართან.

შენობა, სადაც ჩვენი კონტრაქტორები ცხოვრობდნენ, ოთხსართულიანი იყო. ჩვენი მდიდარი არაბი ორმოც წელს გადაცილებული, ოთხცოლიანი კაცი ბრძანდებოდა. მის თითოეულ ცოლს საცხოვრებლად თავისი სართული ჰქონდა გამოყოფილი. კაცი ბევრი კომპანიის მოწილე იყო, საიდანაც დიდ მოგებას იღებდა — სხვა არაფერში ერეოდა. ყველა ცოლს ჰყავდა პირადი მოსამსახურე და ყველა ცოლთან ბევრი შვილი ჰყავდა.

ამ კაცის გათხოვილი ქალიშვილი ქმართან ერთად იქ ცხოვრობდა. ორივეს ევროპაში ჰქონდა განათლება მიღებული. ჩემი მეუღლე კარგად ფლობდა გერმანულ ენას, ამდენად, დავმეგობრდით კიდეც. სიძეს ორი მანქანა ჰყავდა და ერთის გასაღები შემომთავაზა, მე მაინც არ მჭირდება მანქანები და გყავდეს, სანამ დაგჭირდებაო. რა იცოდა კეთილმა არაბმა, რომ საბჭოთა წესების მიხედვით, არაფრით არ შემეძლო მისი შემოთავაზების მიღება...

სუდანში დასვენების დღე პარასკევია. პარასკევობით სათევზაოდ მივდიოდით. შეუძლებელია იმ სილამაზისა და მრავალფერნოვნების აღწერა, რაც წითელ ზღვაშია. ამოვიღებდით მიზანში თევზების რომელიმე ქარავანს და ერთ თევზაობაზე ერთი კვირის სამყოფი თევზი მოგვქონდა, — თევზებზე სანადიროდ ისრიანი თოფი გვქონდა.

მაია ჭელიძე

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გადაბეჭდვა შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აღლაძის 39. ტელ: 234-39-99